ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.

# დროშა

№ 4

ხუთშაბათი, 28 იანვარი 1926 წ.

გაზეთ „კომუნისტი"-ს დამატება



ლენინი

ხუთშაბათი, 28 იანვარი 1926 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

| ხელის მოწერა | | განცხადების ფასი: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით . . . | 5 მ. 50 კ. | „დროშის“ მთ. გვერდი | 200 მ. |
| 6 თვით . . . | 3 მ. — | 1/2 გვერდი . . . | 120 მ. |
| 3 „ . . . | 1 მ. 70 კ. | 1/4 „ . . . . . | 65 მ. |
| ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. | | | |

მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. „კომუნისტის“ რედაქცია.

№ 4 | გაზეთ „კომუნისტი“-ს ორკვირეული სამხატვრო—სალიტერატურო დამატება | № 4

## ჩვენ გავიმარჯვებთ

(ამხ. ლენინის გარდაცვალებიდან ორი წლის თავის გამო)

პიროვნება არ ჰქმნის ისტორიას. ისტორია ჰქმნის პიროვნებას, რომელიც ყველაზე უკეთ, ყველაზე უფრო სწორათ გამოხატავს მასის სულისკვეთებას, მისწრაფებას და ამ მისწრაფებას პირდაპირ, გარკვეული გზით წარმართავს.

რუსეთის რევოლიუციაში ასეთი პიროვნების როლი წილად ხვდა ამხ. ლენინს. ის რუსეთის პროლეტარიატის ჰენიოსი ხელმძღვანელი იყო, რომელსაც მდგომარეობის უტყუარი შეფასების და სწორი ანალიზის გაკეთების იშვიათი უნარი ახასიათებდა.

რკინის ნებისყოფა, დაუნდობელი ბრძოლა ყოველ სახის მოწინააღმდეგებთან, უსაზღვრო სიყვარული და თავდადება იმ კლასისათვის, რომლის ინტერესებსაც ის ემსახურებოდა ai რა ახასიათებდა ლენინს.

და ლენინმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა რუსეთის პროლეტარიატმა. ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენდა ჯერ არ ნახული ორგანიზაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც გამოხატავდა ახლად გამარჯვებულ კლასის, პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას.

რვა წელზე მეტია, რაც ეს სახელმწიფო არსებობს დედა-მიწის ერთ მეექვსედზე. რვა წელზე მეტია, რაც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი შეუჩერებლივ წინ მიდის სოციალიზმის გზით.

თუმცა რევოლიუციის პირველი ოთხი წელი, როცა გამარჯვებულ პროლეტარიატს გარს ეხვეოდა შინაური და გარეშე მტრები, განსაკუთრებულ სიძნელის წლები იყო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში, როცა გზა ჯერ კიდევ ახალი და გაუკვალავი იყო, არა ჩვეულებრივი ენერგიის დაჭიმვით და მსხვერპლის გაღებით უხდებოდა მუშათა კლასს ძალა-უფლების შენარჩუნებისათვის ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა მას უადვილდებოდა, რადგან სათავეში იდგა ისეთი ჰენიოსი მესაჭე, როგორიც ლენინი იყო.

დღეს პროლეტარული სახელმწიფო წინ წავიდა ეკონომიურათ და პოლიტიკურათ. მშრომელი მასსების მილიონები ამოძრავდენ მთელ საბჭოთა კავშირში. და აქტიურათ ჩაებნენ სახელმწიფოს მუშაობაში. განსაცდელის წლები უკვე უკან მივატოვეთ.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებული სიფრთხილით, თავისებური წინდახედულობით განაგრძობს ლენინის მიერ ერთხელვე დასახულ სწორი გზით წინსვლას. აქ მრავალი დაბრკოლებები გველობებოდა წინ, კიდევ დიდია ის სიძნელენი, რომელთა გადალახვაც უხდება პროლეტარიატს. და ბრძოლის გზით სვლაში, ამ დიადი და მეტად საპასუხისმგებლო ისტორიულ ამოცანების შესრულების დროს, ბუნებრივათ იბადება კითხვა: „საით მივდივართ“?

ევროპაში რევოლიუციამ დაიგვიანა, ხდება კაპიტალიზმის ნაწილობრივი და დროებითი სტაბილიზაცია, ოქტომბრის რევოლიუცია ჯერჯერობით, თუმცა დედამიწის უდიდეს, მაგრამ მაინც ერთ სახელმწიფოს ფარგლებში ზეიმობს თავის გამარჯვებას. შეიძლება თუ არა ამ პირობებში უტყუარი გზით სოციალიზმისაკენ წასვლა?

აი, ის კითხვა, რომელიც საკამათო საგანს წარმოადგენდა პარტიის ახლად დასრულებულ ყრილობაზე. მაგრამ ეს საკითხი არა ნაკლებ აინტერესებდა თვით ლენინსაც. მის შესახებ ის გარკვევით ამბობს:

„ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უსწორ-მასწორობა კაპიტალიზმის აუცილებელი კანონია. ამიტომ, ცხადია, რომ შესაძლებელია სოციალიზმმა თავდაპირველად ორიოდე ან კიდევ ერთ განცალკევებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში გაიმარჯვოს“.

ასეთია ამხ. ლენინის აზრი სოციალიზმის ერთ ქვეყანაში მშენებლობის შესახებ.

დღეს ლენინი აღარ გვყავს, მაგრამ გვაქვს მისი მკვეთრათ ჩამოყალიბებული თეორიული დებულებები და მითითებანი თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხებზე. ამასთან ერთად პროლეტარიატის ხელშია ქვეყნის ძირითადი საწარმოო იარაღები და სახელმწიფოებრივი აპარატი.

ამ პირობებში ლენინიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილია. ხოლო ამისათვის საჭიროა პირველყოვლისა კომუნისტურ პარტიის რიგების სიმტკიცის დაცვა. მისი ფოლადისებურ მთლიანობის კიდევ უფრო გამაგრება. ამ პარტიამ მოახდინა ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში, მისი ხელმძღვანელობის ქვეშ შენდება რვა წლის განმავლობაში სოციალისტური მეურნეობა და მაზე აღმოცენებული ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა ერთერთ უდიდეს სახელმწიფოში.

პარტიის ახლად დასრულებულ მე-XIV ყრილობამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა. ულენინოთ, მაგრამ ლენინიზმის გზით, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებათა, ურყევათ მივდივართ ჩვენ სოციალიზმისაკენ.

ჩვენი საქმე უზრუნველყოფილია.

ა. ჭ.




1. სტალინი, 2. ბუხარინი, 3, ტროცკი, 4. რიკოვი, 5. ტომსკი, 6. კალინინი,
7. ზინოვიევი 8. მოლოტოვი, 9. ვოროშილოვი.

## სრ. საკავშირო კომპარტიის ცეკას

## პოლიტბიურო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სვანური ლეგენდა

პირველი თოვლი დახეულ თეთრი ლეჩაქივით გადაჰფარებია ზაგიარის თავზე გადმომდგარ მკერდ-დაგლეჯილ კლდეებს.

ქიმებ დამტვრეულ მწვერვალიდან გადმოხტა კაცი და თან გადმოიტანა ბეჭ-გასისხლიანებული მამალი ჯიხვი.

ალმასებურ პირ-აწყობილი ისარი ნახევარ ტარამდის ისევ ღრმა ჭრილობაში იყო ჩაფლული.

მონადირემ წინა ფეხებით წამოიკიდა ნადირი ზურგზე და ფრთხილი, მტკიცე ნაბიჯებით დაეშვა ქვევით.

ვაჟკაცის შავი მკლავებივით გაშლილი რქები—ცისკენ ამაოთ მიმართულ ვედრებას მოგაგონებდა.

რაინდი, მოდის ისეთ კლდეებზე, სადაც შეიძლება ჯიხვის ჩლიქიც კი არ დადგმულა, არამც თუ ფეხი მონადირისა. მაგრამ ვაჟკაცი ნაცადი არის დაგეშილი ბედაურივით და გამბედავი—უდაბნოში მოთარეშე ლომივით.

მაღალ ყინვარების სუნთქვით ამოვარდნილი ნიავი საამოთ უგრილებს შუბლს—ტვირთით გახურებულ გუდამყაუს.

(ასე ერქვა სახელათ ჯიხვით დატვირთულ ვაჟკაცს).

გუდამყაუმ გადმოიარა ერთი ქედი, მეორე. თუ ფეხი წაუცდებოდა სადმე, მარჯვე ვეფხვივით მოებღაუჭებოდა ისევ კლდის მოფლეთილ ნაპირებს.

მოდის და თან მოღიღინობს რაღაც ველურ, რაღაც რაინდულ გამარჯვების სიმღერას.

ეს მერამდენეთ ჰკიდია ზურგზე ასეთი ჯიხვი.—არც თვითონ ახსოვს. იცის მხოლოდ, რომ მისი ისარი არ დასცდენია არცერთ მიზანს.

არ დაღამებულა, მაგრამ მზე უკვე ამოეფარა თვეთნულდის ბრწყინვალე მწვერვალს და ამაყ ქედების ბუმბერაზული აჩრდილები შავი მდევებივით ჩამოწვენ თეთრად მოელვარე არე-მარეში.

გუდამყაუ დაეშვა დაბლა. იქ, სადაც ინგური სულჩადგმული ალმასივით მოიკლაკნება ქალის მკლავზე უფრო წვრილათ და მისი ჩურჩულიც უფრო წყნარია თვით ნანინაზე.

გუდამყუ მიადგა სქელკედლებიან ქვითკირის ციხეს და ყრუთ მოკეტილ კარებს მედიდურათ ჰკრა წიხლი.

— აშხაუ! გამიღე კარი!

კარები არ შედრკა.

მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ გაიღო ნებაზე.

— გუდამყაუ! ჯიხვიც მოგიყვანია!

— მაშ უმწვადებოთ დაგტოვედი, ქალო!

— მე არა მგონია, შენი ბადალი ძმა მეორეც მოიძებნებოდეს სადმე თავისუფალ სვანეთში.

— შენი გულისთვის თუნდა სულ ამოვჟლიტავ ჯიხვის მთელ ჯოგებს!

---

შუა დარბაზში გაომებული ცეცხლი არის გაჩაღებული.

მკერდ-გაფატრული ჯიხვიც იქვე გვერდზე დანარცხებულა. სახელდახელოთ ამოჭრილი სუკები აშხაუს ხელით იბრაწებიან გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე.

ჯირკვზე ჩამომჯდარი გუდამყაუ ჩასაფრებული მონადირესავით ჩუმათ მისჩერებია ცეცხლს, მწვადებს, აშხაუს. ხან და ხან კი ალმაცერად თვალს გადაავლებს აშხაუს მკერდზე უნებლიეთ გადახსნილ ღილს ან უცაბედათ აწეულ შიშველ წვივებს.

შეჰხედავს და ულმობელი ჟრუანტელი უვლის კუნთებ-დაჭიმულ არსებაში, თითქოს დათვის ტყავის მაგიერ ეკლის სამოსი ეცვას ტანზეო.

მაგრამ გუდამყაუ ხომ ძმა არის, აშხაუ კი—და.

ვის შეუძლია დასწყვიტოს ფოლადის და-ძმური ბორკილები!

როგორ შეიძლება აზრათ გაივლოს ავ-ხორცობა დამ—ძმაზე და ძმამ—დაზე?

გუდამყაუმ ეს ისევე საუცხოვოთ იცის, როგორც მთებზედ სიარული, ჯიხვებზე ნადირობა და მტერთან ბრძოლა.

მაგრამ აშხაუ მაინც უნებლიეთ იზიდავს გუდამყაუს გუნებას თავისი მოქნილი ტანით, კოხტა კულასავით მოყვანილი წვივებით და ძლიერი თეძოებით. მკერდში დამალული ორი ზვირთი ხომ ისევე აღელვებს გუდამყაუს გულს, როგორც ძლიერი ქარიშხალი ზაგიარის სათავეებს.

მწვადის ცვარი ცხელ ცრემლებათ ეღვენთება ცეცხლში, ალმურს უკიდებს, შიშხინებს და საამო ოშხივარს აყენებს სიცხითა და კვამლით გაბრუებულ დარბაზში.

— აშხაუ, ეყოფა! ეს მხოლოდ ერთი წლის ჯიხვია—რქის სათვალავზე ეტყობა. ამის წვადებს ერთი გავლებაც ეყოფა ცეცხლზე.

ხის ხონჩაზე გრძელი დანით ჩამოსთალა გუდამყაუმ





ლენინი დასვენების დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვრიანი წვადი. აშხაუც ყელ-მოღერებით მოუჯდა გვერდზე და ძალიანათ ეექცეა ვახშამს.

გუდამყაუმ ჯიხვის ჭვადებს ოაძღეჯერმე დააყოლა ანწლის ძწარე არაყი და უფრო ეშხიან გუნებაზე დადგა.

სახე-დაბრაწული და გუნება დამშვიდებული აშხაუ ვერ ამჩნევს ძმის განიერ თვალებს.

გუდამყაუმ რკინის სალტასავით გადაჰხვია თავის მარჯვენა აშხაუს მოხდენილ მხრებზე.

— მითხარი, აშხაუ! რომ მომკლას ვინმემ ან კლდიდან რომ გადავიჩეხო, ან თოვლის ზვინებში რომ დავიღრჩო—რას იზავ მაშინ?

— უწინამც დღე დამლევია და მაგ ამბავს კი არ მომასწრო!

— ძალიან იდარდებ?

— მე უშენოთ როგორ შემიძლია სიცოცხლე! ჯერამ მე მოვკვდე, ის მირჩევნია!

— ეგრე გიყვარვარ განა?

ქვეყანაზე ერთად. ერთი ძმა გამაჩნია და მაშ ვინღა უნდა მიყვარდეს სხვა იმის გარდა.

გუდამყაუმ ველარ მოითმინა დ ორთავ. თვალში გადაჰკოცნა აშხაუ;

დას არ ეუცხოვება ძმის გულითადი კოცნა.

მაგრამ ძმის გულს კი უფრო და უფრო აფორიაქებს ხელის გადახვევაც, თვალების ჩაკოცნაც. რაღაცა ცეცხლი ღვივდება მის გულში, რაღაცა ნადირი ღვიძებს მის არსებაში. გუდამყაუს სწვავს ეს ცეცხლი და აშინებს ამ ნადირის გამოღვიძება, მაგრამ თანაც ესიამოვნება. ასეთივე ტკივილსა და სიამოვნებას გრძნობს, როდესაც მომზრალ ხელებს პირველად ითბობს ცეცხლის კოცონზე.

რამდენი წელიწადია ასე განდგომილათ ცხოვრობენ ეს იშვიათი და-ძმანი ტვიბერისა და ყორელდაშის მთებ შორის! და რაც მეტი დრო გადის, მით უფრო და უფრო მეტ დარდათ იჭრება აშხაუს სახე გუდამყაუს გულში.

გუდამყაუ ცენას ქვევით დაბალ ხევში ჩასაფრებულა.

ამპარტავანი და გიჟი მდინარე დამუქრებული მხედარივით მიხმაურობს კლდეებ შუა გარღვეულ კალაპოტში. თეთრ-ნაბდოსანი მთიბი გოლიათებივით წამომდგარან გუდამყაუს თავზე. მზე დაკარგულა მთაგრეხილებს იქით, სადღაც და მხოლოდ მაღალ მწვერვალებს ევლებიან ნათელ პორფირათ მისი სხივები.

ძველთაგან ძველათ გაუტეხავი ტყეები შავი ბოლმით გამოიცქირებიან თავის სიღრმიდან. ამ ბუმბერაზ მთებ შორის კი ზეცა ისე დაპატარავებულა, რომ ერთი სუფრა ძლივს გაიშლება მასზე.

აქ გუდამყაუ ელის თავის მოხარკე მეჯოგეებს ჩრდილოეთიდან რომ გადმოდიან ყოველ ზაფხულზე. მათ არ გაუსტუმრებიათ ხვედრი საბალახე და ეხლა აპირობენ ჩუმათ გაპარვას ჩრდილოეთისკენ.

აგერ კიდევაც გამოჩნდენ, ვისაც ელის გუდამყაუ.

მეჯოგეებმა უარი სთქვეს საბალახოს გადახდაზე და ითაკილეს კიდეც გუდამყაუს წინ დახვედრა.

მედიდურმა დ შეუპოვარმა გუდამყაუმ ჩქარა შეანანა მეჯოგეებს ეს თაიხედობა. კაცვიც მოუკლა, საქონელიც წაართვა და ისე დაბრუნდა სახლში გამარჯვებული.

აშხაუ სიხარულით წინ მიეგება ნადავლით დაბრუნებულ ძმას და გამარჯვებაც მიულოცა.

ვაჟმაც ჯიგრიანათ გადაჰკოცნა აშხაუ და ეს უფრო მეტ სიანოვნებათა. და გამარჯვებათ მიაჩნდა ვიდრე მთელი მეჯოგეების ამოჟლეტა.

---

საღამოზე და-ძმანი ისევ უსხდენ ფართე ცეცხლს გარშემო და შეექცეოდენ დღით მოკლულ დათვის მწვადებს.

— აშხაუ! ხომ არ მოგბეზრდა ამ მთებში ცხოვრება?

— თუ კი შენ ჩემ გვერდზე იქნები, რათ მომბეზრდება?

— ან ხომ არ მოგენატრა შენი ტოლი ქალები?

— მე მირჩევნია ესე მიუდგომლათ ცხოვრება. მე მიყვარს ეს ჩვენი გაუვალი სათივეები! მიტაცებს მაღალი მთების სიახლოვე, მიხარია ჯიხვებზე ნადირობა! მომწონს ჩვენი შეუპოვრობა სოფლისა!

— რომ გითხოვოს დიდმა დადიანმა, არ გაჰყვები ქალო?

— უწინამც თავზე დამმგრევია გისტოლას მთა!

— რომ იყოს დადეშქელიანი?

— ინგურმა წამიღოს, ის მირჩევნია!

— რათა?

— მე ვერ ველევი აქაურობას! ვერც შენ გელევი!

— ძალიან გიყვარვარ?

— შენ ხომ ღვიძლი ძმა ხარ?

— მაგრამ ხომ გიყვარვარ?

— რა საკვირველია! მაშ სხვა ვინ გამაჩნია!

— ხომ მოგწონს ჩემი სიძლიერე, გამბედაობა?

— მომწონს!

— ხომ გიხარია ჩემი გამარჯვება მტერზე?

— მიხარია!

— ხომ გესიამოვნება ჩემი ნადირობა და მიზანში სროლა?

—მესიამოვნება!

— მე მჯობია ვინმე ინგურის სათავიდან—ინგურის შესართავამდის?

— არავინ!

შეჩერდა ვაჟკაცი რაღაცა ცეცხლის, რაღაცა მორევის წინაშე და შემდეგ ისევ განაგრძობს:

— ჩვენი ციხე უფრო მაგარია თუ ჩემი მკერდი?

— თუ ციხე არ გატყდა, შენ მკერდს რა გასტეხავს!

— ხომ გიყვარს, როცა ინგურის ტოტებზე გადასვლისას ხელში აგიყვნ და ისე გადაგახტუნებ ხოლმე?

— მაშინ ჩემი თავი ისევ ბავში მგონია და შენ კი მდევივით ძლიერი!

— აი, ასე! ძლიერათ, მსუბუქათ, ხალისით!

აქ გუდამყაუმ დასტაცა ხელი აშხაუს და ჰაერში შეათამაშა მოტაცებული საუნჯესავით.

— შენ ხომ არა დროს არ გეშინია ჩემთან, აშხაუ?

— მე ცეცხლისაც კი არ მეშინია! არც მაღალი ნაპრალებისა! არც ღრმა ხევების! არც სიბნელის! მაშ შენისთანა რაინდ ძმასთან რისა უნდა მეშინოდეს!

— არაფრის! მე შენთვის თავს დავსდებ! ციხეს დავანგრევ! ქვეყანას შევებრძოლები! მდევების ლაშქარი რომ დაგვეცეს, ცოცხალი თავით მე შენ ვერ დაგთმობდი!

— ჩემო ძმაო! შენ ერთად ერთი ხარ დედამიწაზე!

— მე ყველაფერი ვარ, როცა შენ ჩემთანა ხარ, აშხაუ!

და რკინის მკლავმა ისევ ჩაიხვია ვაჟკაცურ მკერდში გოგოს იფნსავით მოქნილი მხრები. ჩახვია და ფირუზოვან თვალებსაც დაეწაფა უგონო კოცნით.

აშხაუს გულში რაღაც წვეტიანი ისარი მოხვდა. იამა? დსწვა? თვითონაც ვერ გაუგია. მხოლოდ პირველდ კი მოხვდა იმის გულს—მსგავსი ისარი.

---

ერთ დღეს გუდამყაუ დაბრუნდა ნადირობიდან. აშხაუ შინ არ დაუხვდა. ის წასულიყო ინგურის პირველ ნაკადებზე ჭურჭლის სარეცხად. საქმეში გაერთო და ჩქარაც შემოაღამდა ქალს. ჩქარა ისეთი მწვავე ყინვა დაიჭირა—ინგურიც კი შეანელებდა თავის გიჟ ტალღებს.

აშხაუ სასწრაფოდ გაემართა ციხისაკენ.

შინ რომ მივიდა, კარი დაკეტილი დაუხვდა.

აკაკუნებს.—პასუხს არავინ აძლევს.

— ვინ არის, სახლში?

— გუდამყუ!

— ჩემო ძმაო, გამიღე კარი!

— რათა?

— მცივა! გავიყინე!

— არ გავაღებ!

— გუდამყაუ! ჩემო ძმაო!

— არ შეგიბრალებ!

— რა დავაშავე?

— არ გიყვარვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გუდამყაუ, ჩემო ძმაო, მაშ სხვა ვინ მიყვარს შენს მეტი!

— არა მჯერა?

— როგორ დაგაჯერო?

— გამშორდი, აშხაუ, ვერ გაგიღებ კარებს!

— აღარ გიყვარვარ, შენი და აშხაუ!

— მიყვარხარ! და უფრო მეტად—ვიდრე ოდესმე!

— მაშ გამიღე! ვკვდები სიცივით!

— აშხაუ!

— რა გინდა ძმაო?

— აშხაუ!

— რა გინდა, გუდამყაუ?

— მითხარი! „შენ ქმარი და მე ცოლითქო!" და გაგიღებ კარებს.

— არა გრცხვენია! ჩვენ ხომ და-ძმანი ვართ!

— მაშ წადი!

— სად წავიდე?

— სადაც გინდა!

— შემიბრალე!

— მითხარი—„შენ ქმარი და მე ცოლითქო!".

— ვერ შევსცოდებ!

— მაშ გაიყინე!

აშხაუ კანკალებს. ყინვისაგან სულ დაპატარავდა. ხ;,ლ-ფეხი ლამის მოაძრას სიცივემ.

— გუდამყაუ!...

— ნუღარ მიძახი!

— გამიღე!

— აშხაუ! გამშორდი!

— ... შენ ქმარი და მეცოლი!

— აშხაუ! ‹იდევ გაიმეორი ıგ ჩემი ნატვრა!

— ... შენ ქმარი და მე ცოლი!

ციხის კარი უცებ გაიღო და გუდამყაუს ძლიერმა მკლავებმა ნატვრის თვალივით აიტაცეს აშხაუ და კარი ისევ დაიხურა.

გუდამყაუმ უფრო გრძნეულათ ჩაიხვია აშხაუ და გახელებით გაიძახის:

— ვინა სთქვა. რომ პატარძალი თვეთნულდი და ვაჟკაცი უშბა*) არ შეხვდებიან ერთმანეთს, არ მოეხვევიან ერთმანეთს!

ერთხელ მოიტცა გიჟმა ინგურმა პატარა აშხაუ და გუდამყაუმ გადაარჩინა.

ეხლაც მოიტაცა ინგურზედ უფრო ძლიერმა მდინარემ—გუდამყაუს გახელებამ, მაგრამ ვინღა გადაარჩენს!

თავბრუ დახვეულმა გუდამყაუმ ერთი შეათამაშა ჰაერში უკვე მოთენთილი აშხაუ. ერთი წამიც და...

ამ დროს მოხდა რაღაცა საშინელება, რაღაც. რისხვა, რაღაც მიწისძვრა! შეირყა მთელი ნიადაგი და მტერთაგან აუღებელი ციხე უეცრივ თავზე დაენგრათ საავხორცოთ გამზადებულ დასა და ძმასა.

ასე დაიმარხენ სამუდამოთ თავიანთ ციხის ქვეშ აშხაუ და გუდამყაუ.

ასე გადადის ეს ლეგენდა პირიდან პირში, თაობიდან თაობაში.

ზაგოარის უღელტეხილზე მიმავალი მგზავრი კი ყოველთვის გაიხსენებს იმა ციხის ნანგრევების დანხვაზე და ფიქრებით გადინადირიბს ახალათ შორეულ საუკუნოების ლეგენდარულ ლანდებში.

ესეც არის ერთი იმ ლეგენდათაგანი.

**ლევან მეტრეველი.**

---

*) თვეთნულდი და უშბა—უმაღლესი და ულამაზესი მთებია სვანეთში. უშბა—აგონებს ვაჟკაცს და თვეთნულდი კი—პატარძალს.

# წითელი რაზმი

**(ეპიზოდის ნაწყვეტი 1905 წ. სინამდვილიდან)**

თეძმის ხეობა...—

სად მდინარემ ერთხელ იცის მოვარდნა, გაზაფხულზე და, ყველაფერს ჰლეკს...

უამრავი ქვახვრელები პირდაღებულნი მოსჩანან ციცაბო ფლატეებზე, რომელთაც ორბივით წამოსჯდომია ქედზე, კალოუბნის ნიში გუშაგად...

ეს, ძველად, ქართველთა წინაპრების სამალავებია, მტერთა თავდაცემის, შიშიანობის დროის...

ადგილები ლეგენდებით სავსე, გმირთა თავდადებაზე ატეხილი ზოლები...

დევინახე მუხლის ტბა, მცირე მთიულეთი, რკონი...

თრიალეთის მთათა ტყიანი გრეხილი, რომლის ქედზეც ხურჯინის თვლებისავით გადაკიდულან იქიდან სამცხე-ჯავახეთი და აქედან ქართლი...

ისტორიული ცხირეთი, ზემოციხე, მეფე სვიმონ და ლუარსაბ მეორის სააგარაკო ციხედარბაზთა ნანგრევები; სააკაძის სათარეშო, ამაყად გაჰყურებს კავკასიონის ჭაღარა ქოჩორს, და ფიქრდადაღული უგდებს ყურს უსტარაულის წყაროს დუდუნს, რომლის შუაგულს დაცერებულა საფლავის ლოდი...

ამაზე ლეგენდა ამბობს, რომ, თითქოს აქ იყოს დამარხული სააკაძის ერთ-ერთი გმირი, გლეხის ობოლი ბიჭი, რომელიც გიორგის ძალიან უყვარდაო; ის უმშვენებდა მხარს, როცა მესოპოტამიიდან მომავალი ყირიმელი თათრები თავიანთ ქვეყანაში ბრუნდებოდენ, აქ გადმოვლით, თევდორე მღვდელი აწამეს, და რა ქართლის აოხრებას შეუდგენ, სააკაძე დაეწია და დაამარცხაო...

ეს გმირი დაიღუპა იმ დროს, როდესაც მხედართმთავარი უცხოეთში გარდაიხვეწა სამშობლოდან, თავადაზნაურობის მიერ დევნილი და უკან დახევას ჰფარავდაო; წყარო კი ცრემლები, რომელიც სამარეზე დააფრქვია მხედართმთავარმა...

მას ირგვლივ პატარა მდელო შვენის გარეულ ხილის ხეებით...

უკან ტყე, წინ დაცემული მინდორი, რომელსაც ღილებივით აბმიან ნოსტე-კოშკით, ახალ-ციხე—მაღლა აზიდულ ციხით, ცუცუბანი, ერთაწმინდა—სააკაძეთა აკლდამა, პაატას თავით; გარიყულა; ახალქალაქი, როგორც აჯანყების ბუდე, ფავნისის ძმათა სასაფლაო, აადაც შარხია ნაძალადევში ერთი ცხრა ამხანაგთაგანი; ნიაბი, ბორტა და მეტეხი, რომელიც მტკვრის თავზე გადავლებით, ბარაქიანად ართმევს ხელს აშურიანის ველს.

ირგვლივ სხვა სოფლები, და, გაბედული თქმა..

აქ დაიწყო 1905 წლის მღელვარება, მთავრობა სიბრაზით ცოფებს ჰყრის, მარა უძლურია განმანთავისუფლებელ მოძრაობის დასჯად...

მისი დახმარებით ზემო ქართლში სდგება თავად-აზნაურთა რაზმი, რომელსაც გლეხებმა შავი რაზმი დაარქვეს...

ისინი აქეთაც დაძრწიან; ეცემიან სოფლებს, აწიოკებენ გლეხებს, საუკეთესო ახალგაზრდებს ხოცავენ, მოხუცებს ამათრახებენ, ქალებს ნამუსს ხდიან...

გლეხების მოთმინების ფიალა აივსო...

პირველი ფარული კრება ხდება უსტარაულზე...

გაისმა ცეცხლის სიტყვა, და საკინძჩამოწყვეტილი ქოჩრიანი ბიჭები ეწერებიან წითელ რაზმში, რომელსაც ადგენენ **კონტრ-დარტყმად...**

ნელი სიო სისინებს და წითელი დროშა იბერტყს ყურებს...

ისტორიულმა შურისძიებამ იფეთქა...

მზადდება შეტევა...
ალვირ აწყვეტილ გლეხობას ვერარა იჭერს...
აქ არიან როგორც ბარელნი, ისე მთიულნი.
აჰა, თბილისიდან ამოსული „მესკამურა“,—როგორც მაშინ ეძახდენ ხოლმე, ქართლში, აგიტატორებს,—რკინის-გზის მუშა, ამავე მხრელი, რომელიც მოუწოდებს თანამესოფლეებს ჩაებან რევოლიუციის ფერხულში, ხელი გაუწოდონ აჯანყებულ ქალაქის მუშებს...
ყველა მზადაა ბრძოლისათვის...
აქაა სოფლის თვალიც, მიხა, მშვენიერი ვაჟკაცი, მოლექსე, საუკეთესო მონადირე, მან წერა-კითხვა ხომ მწყემსობაში შეისწავლა, თოვლზე და ხეებზე. ტყეში, აქა-იქ, ეხლაც შეხვდებით მისგან ჩამოთლილ ხეებს, რომლებზედაც მას დანით ლექსები ამოუჭრია...
ყველგან წინ მდგომი აქაც პირველია...
წითელი რაზმის ერთი მეთაურთაგანი...
მისი დაფიქრებული სახე, იმედიანი გაქანება...
ცოცხალი და მეტყველი თვალები...

ტას და კატოს მეთაურობით, რომლებიც დიდ უნარიანობას იჩენენ, მოძრაობას მხარში ამოსდგომიან...
გორაკზე გადმოჭიმულ სახლის აივანზე გადმომდგარა უკვე სამსახურს გარეშე მყოფი გენერალი, თავადი გიორგი, რომელიც სიბრაზისაგან ცოფს ჰყრის, ხელებ უკან დაწყობილი მიდი-მოდის და ემუქრება გლეხობას ყაზახებით დასჯას, მაგრამ ძლიერია მოძრაობა, შეუჩერებელია ქროლვა მონობის უღლის კისრიდან გადაგდების მოსურნე აჯანყებულ ხალხის...
— რა ვუყოთ იმ თავად-აზნაურობას, რომელიც ასე გვმტრობს და გვაწიოკებს?
შეეკითხა თავმჯდომარე კრებას.
— გავწყვიტოთ დედაბუდიანად!
წამოიძახა ტატომ, რომელიც თავის ახოვანობით ერჩეოდა ყველაში და ცეცხლის ნაპერწკალთა მკვესი თვალები ადასტურებენ მის ნათქვამს...
შემდეგ, რა რეაქცია გაძლიერდა და ერთი თავადი დაიკარგა უგზო-უკვლოდ, ეს სიტყვები მას საბედისწე-



**თელავის გან-კავშირის კონფერენცია. 1926 წ.**

ვინ იცის რამდენი გასათხოვარ გოგოს თვალები ზვერავდა მას ვნებიანად, ქალალაიას აფარებით, მაგრამ ის არავისზე აგდებდა გულს, რადგანაც იტაცებდა განმანთავისუფლებელ მოძრაობის სიგიჟე, და მათიკოს სიყვარულის დაუფლება...
ორივეს უყვართ ერთმანეთი, ხშირად ხვდებიან, საიდუმლოდ, სოფელში კარგად ცნობილ ნუცას ოჯახში, რომელიც მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და რომელსაც ახალ ოთარაანთ ქვრივს ეძახიან...
წოდებრივი სხვაობა...
ჩატეხილ ხიდს უკანასკნელ ბურჯსაც აცლიან აზნაური მშობლები, რომელნიც ნებას არ რთავენ გაჰყვეს გლეხს ცოლად...
დაჭრილი სიყვარული...

—:—

მთელი არე ალში იწვის...
დიდი კრება ხდება გარიყულაზე...
დიდიან-პატარაიანად აქ არიან ირგვლივ მდებარე უამრავ სოფლებიდან...
წითელი დროშების ტყეები...
აქ არიან ქალებიც, ამ მხარეში კარგად ცნობილ ანე-

როდ გადაექცა, ორჯერ იყო გადასახლებული, ერთხელ ციმბირიდან ფეხითაც კი გამოიპარა თავის სოფლამდის; ყაზახებმა ცემით მოკლეს, აწამეს..
— ტატო, ნუ ხარ სასტიკი.
გადაუჩურჩულა მიხამ, ღიმილით.
— ეჰ, შენა, შვილოსა, მაგათი წრის ქალი გიყვარს, და იმიტომ...
მიუგო ტატომ, ღიმილითვე, და სიტყვა აღარ დაამთავრა.
— ტატო!
წამოიძახა მიხამ, წყენით და შეუბღვირა.
— სულ ერთია, მიხავ, ეგენი არ დაინდობიან; ვერ შეურიგდებიან მუქთახორა ცხოვრების ხელიდან გაშვებას და, რა წამს დროს იხელთავენ: გაგვსრესენ, აგვიკლებენ...
ეს სიტყვები მართლაც გამართლდა შემდეგ...
მიხამ თავი ჩაჰკიდა...
მისი გონების თვალწინ აიტუზა მათიკოს ლანდი...
— ნუ თუ დანაშაულია ჩემი მათიკოსადმი სიყვარული?
მოსწყდა მის ტუჩებს ეს გაფიქრება და, დანისლული სახე, მაგრამ ნათელი, უფრო დაეღარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრება ბობოქრობდა; არე ზანზარებდა ხმაურში...

მრავალი გადაწყვეტილება მიიღო...

ზოგიერთი შეეკამათენ ერთმანეთს:

— შენა მენშევიკი ხარ და, იმითვინ არ გინდა იარაღით შებმა.

ეუბნება სანდრო ილოს, რომელიც სასტიკი ზომების მომხრე არაა მემამულეთა წინააღმდეგ, რადგანაც ეს მთავრობის სისასტიკეს გამოიწვევს და უდანაშაულო ხალხი დაიღუპებაო...

— მე არც მენშენიკი ვარ და არც ბალშენიკი, მაგრამ ჩვენი გლეხკაცობის საკეთილდღეოდ რომ ვიბრძვი და უკანაც არ დავიხევ, ეს ყველამ იცით.

მიუგო ილომ და თავმჯდომარეს სიტყვა სთხოვა...

უნდა ითქვას, რომ თუმცა ფრაქციაზე წარმოდგენა ნაკლები ჰქონდათ მაშინ გლეხობას, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას მიჰყვებოდა, მაგრამ ორ მიმდინარეობის ბრძოლა მაინც იყო; ორივე ფრთის პროპაგანდისტები დადიოდენ აქ, ერთ ხანად **კობაც** მუშაობდა ამ მხარეში.

გლეხობამ იცოდა ერთი, რომ ბოლშევიკები უფრო დაუნდობელ ბრძოლას ასწავლიდენ, აქეთკენ მოუწოდებდენ, შეიარაღებას ურჩევდენ...

კრებაზე გამოვიდა ერთი სოციალისტ-ფედერალისტი, რომელიც შეეკამათა სოციალ-დემოკრატ ორატორს, გელხებს თავისი პარტიის უპირატესობას სთავაზობდა, რომ მათ გაჰყოლოდენ, მაგრამ რა მოწინააღმდეგე შეება, ამხილა, თავისი პროგრამის უპირატესობა დაუმტკიცა:

— ეგ თებერვალისტია?

— თავად-აზნაურობის მომხრეა!

— არ გვინდა!

— ძირს!

იგრიალა ხალხმა.

ორატორი, სტუდენტის ფორმაში, შერცხვენილი ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

ფედერალისტებს ზოგიერთი გლეხი თებერვალისტს ეძახდა მაშინ.

—:—

ზაფხულის ღამეა...

ნაზუქივით აწითლებული მთვარე ამოგოგდა ლურჯცის კაბადონზე, ყბა მოღრეცით და გადმოამთქნარა ზანტად.

ფრთა ფარფატა ნიავს მოაქვს, მინდვრით, ყვავილთა გამაბრუი სურნელოვნება...

ტყიდან მოისმის ჭოტის კივილი...

ნაფუზარში აიტეხა მწერების გაბმული ჭრიჭინი...

კალოზე ძნა აზიდულია საგზალის გვერდით და კევრი ისვენებს...

კოფოზე მთვლემარე მეურმის სევდიანი სიმღერა, თვლების ჭრიალში და ხარების ნელი ნაბიჯი აღმართზე...

ძაღლის ყეფა დაგვიანებულ მგზავრზე...

მთვარის მკრთალ შუქზე ანავარაყი სოფელი საძილოდ ემზადება, დაღლით...

ძველი ეკლესიის გალავანში ჯერ კიდევ გრძელდება ახალგაზრდობის ლხინი: სიმღერა, ცეკვა...

დაირის ცემაში ოდნავ-ღა ისმის მუზიკის ხმა...

კვირაძალია...

მატურთან ჩამომჯდარი ზოგიერთი ბიჭები შაიროზენ...

მეფანდურე ვანო მარდად ათამაშებს თითებს აბრეშუმის სიმებზე და ზედ დამღერის თავის მიერვე სახელდახელოთ შეთხზულ ლექსებს ახალთაობაზე, ერთობაზე.

საყდრის სამერცხლოზე მსხდარი ორი ახალგაზრდა კი, ამოფარებით, იწვიან ვნებით...

— მიხა...

— მათიკო...

გაისმის ნელა, ტუჩთ შეხების დროს...

— რა ვქნა, რა ვუყო, რომ ნებას არ მაძლევენ ჩვენები?

წარმოსთქვა ქალმა და მკერდზე მიეყრდნო ვაჟს.

სიჩუმე აღიმართა...

— გაგიტაცებ, არავის დავანებებ შენს თავს...

მოსწყდა ვაჟის თქმა და ჩაეკონა, უსურვაზივით შემოახვია მაგარი მკლავები...

და, ამ დროს, მიხა განა იფიქრებდა იმას, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ ელის დაჭერა, უგზო-უკვლოდ დაკარგულ თავადის გატაცებაში მონაწილეობის დაბრალება, რომ მან თითქოს, ამხანაგებთან ერთად, საკირეში დასწვა ის; განა მოიფიქრებდა მაშინ, რომ ამისათვის აწამებდენ, ჩამოღრჩობას გადაუწყვეტდენ და შემდაგ, ოცი წლის კატორღად შეცვლილს, ბორკილ გაყრილს ელოდა სიკვდილი შორეულ ციმბირის საკატორღო ციხეში, რომელიც ბედმა მართლაც არგუნა?!

— ნაუ! ძინ! ნაუ!..

სამრეკლოზე ჩამოჰკრეს ზარს.

ეს განგაშია...

— რა ამბავია?

იკითხა ვიღაცამ.

— გაღმა მხარს შავი რაზმი დაეცა და გლეხობას აწიოკებს; საჭიროა შველა! იყვირა ახლა მოსულმა, შიკრიკად.

მიხა სწრაფად ფეხზე წამოიჭრა.

ლხინი დაიშალა...

წითელ რაზმელებმა შესაკრებ ადგილს მიაშურეს...

— ნახვამდის საყვარელო მათიკო!

— როგორ, შეენც?!

— უპირველეს ყოვლისა სახალხო საქმე და, შემდეგ...

აღარ დაათავა სიტყვა, გადაეხვია, და...

განშორდა...

გადანგრეულ გალავანს გადახტა, მოკლე გზად, საბძლიდან გამოიტანა თავისი განუყრელი თოფი, და...

ოროლობემ შთანთქა...

მათიკოს გული ამოუჯდა, აუტირდა...

ორ მარგალიტის მძივებრი ცრემლი გადმოეკიდა თვალის ქუთუთოებზე...

—:—

შავი რაზმი თუმც წითელ რაზმთან პირდაპირ შებმას გაურბოდა, მაგრამ მთავრობით ზურგ გამაგრებული მაინც დათარეშობდა...

წითელი რაზმი მიჰქროდა დარტყმად...

უკვე ხევ გაღმით ისმოდა მათი ყიჟინა...

მთვარე თანდათან თეთრდებოდა მამლის მესამე ყივილზე...

განთიადის ვარდისფერი ღიმილი საარაკო კოცონს ანთებდა...

დილამ ნისკარტი ჰკრა ღამის გამომშვიდებას, და მხარს გადიგდო ლეგამან ღრუბელთა შორი აქარავნება...

წითელი რაზმი ეთამაშებოდა თავისუფლებას...

რევოლიუციის მარშით ისმოდა:

გრძელდებოდა შეტევა...

— დაჰკა!!!

სეზმან ერთაწმინდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ბოგანო,
სხვადასხვა კუთხით
გამოდევნილთა,
თართით და ზუთხით,
წყალში ტყვევნილთა,
თუ სხვა რამ თევზით
ის იკვებება,
წყალს ილებს პეშვით
და იბეყება...

---

მაგრამ მდინარე
გზაც არის, არხი,
და კბილთ მჩინარე
ცხოვრების ჩარხი
აქ მუდამ ბრუნავს,
მუდამ მოძრაობს,
ზედ არვინ ზრუნავს,
ის ყველას თაობს:
ის მიაქროლებს
ნავთა ქარავნებს,
ხელს უწყობს ბრძოლებს,
ეს მათ არ ავნებს,
და ეზიდება
რა იარაღებს,
ის ეჭიდება
მდინარის ტალღებს,
როგორც თვით წევრი
ბრძოლის და ცეცხლის;
ან არის ბევრი
ზედ ზოდი ვერცხლის,
აბრეშუმი, ან
ოქრო, ტომრობით,
და მებრძოლთ მისვლა
ასეთ სტუმრობით
სულაც არ უშლის
ხელსა, თუ ფეხებს:
მუქარას უთვლის
და თან ამეხებს
იარაღიან
თავიახთ ნავებს,
თქმას არ აცლიან,
აღმართვენ მკლავებს...
ახ კი სამოთქმო
აქ რაღა დარჩა?
გადმოდის ოქრო,
გადმოდის ფარჩა,
და იარაღიც,
გადმოდის, თუა,
და ცბიერ ტალღის
ნაპირებ შუა
თუმცა ჰგავს მთვარეს
გაელვარება,
ის არც ერთ მხარეს
არ ეხმარება,
და როგორც მალი
ქვეწარმავალი,
არს ნეიტრალი
და წარმავალი...
მხოლოთ ვაჭარი
ემდურის აქ დღეს,
შვა-განაჭარი
რომ მიაქვს ტალღებს!..

---

ასე დაძრწიან
აქ „კაზაკები",
მათ ურდო ჰქვიან
ავაზაკების,
გამოქცევიან
უსამართლობას
და ეწევიან
აქ ნამდვილს ძმობას:
იყოფენ შუა
დარსა, თუ ავდარს,
ნადავლიც თუა,
ეკუთვნის ამქარს,
აჩხარუნებეხ
ხმალს და აბჯარსა,
და წინ უსწრებენ
წყალსა, თუ ქარსა,
და ვით ესენი,
არიან მალნი,
და ცეცხლის მჩენნი
შორს უჭრისთ თვალნი...
არ ედრებიან
ქედ-წახსნილ მონებს,
ემუქრებიან
სასტიკ ბატონებს,

ვისიც კი ადრე
ყოფილან ყმები,
დღეს მეხებრ მკაცრი
ამათი ხმები
ესმისთ და უფრთხობს
მათ მყუდრო ძილებს...
თვით მეფეც უხმობს
თვის ერთგულ შკილებს,
მეფე მრისხანე,
ივანე ავი,
ვინც იყო მავნე,
გულქვა და შავი,
ვინაც შეჰყარა
კვლავ სხვა ბრბო ჯარათ
და შეეპარა
მით დასაცარათ
ვოლგის ურდოთა
თავშესაფარებს:
გაშლილ მინდორთა
აღმართულს კარვებს
ეკვეთა ურდო
„ოპრიჩნიკების",
დრო დადგა უნდო
ვოლგის მინდვრების,
დევნილ-დაჭრილნი
სისხლის კაპ-კაპით,
ილტვიან, ფრთხილნი,
მდინარე კამით:
ურალის მთისკენ
აიღეს გეზი,
აწ გამფრთხალთ მისკენ
არ უნდათ დეზი;
იქ მდიდარ ვაჭრებს
მიჰყიდეს ჯანი
და გადალახეს
ურალის მთანი,
ნახეს ციმბირი,
დაიპყრეს იგი,
და განძი, ძვირი,
ვით ითხოვს რიგი,
მიართვეს მეფეს,
მოსკოვის,—ძღვენად,
სისხლი აჩქეფეს
ბატონის ლხენად,
რომ თვითონ... თვითონ
მდინარ ირტიშში
ეკლები ჰკრიფონ,
იგემონ შიში,
განუკითხავათ
ჩასტოვონ ტყავი,
ბელადმა თავათ
აქ დასდო თავი,
თუმცა მას იცნობდენ,
ვით კაცს, ფრთხილს, ეშმაკს,
და ეძახოდენ
ატამან ერმაკს...

---

სასტიკი იყო
მტრის შემოტევა:
წყალმა წაიღო
რისხვა და წყევა,
მაგრამ მათ ნახეს
მაინც სახელი:
შორს გადალახეს
ციმბირი, ვრცელი!..
ჯანყი მაინც მით
არ შეწყვეტილა:
გლოვით და მოთქმით
მდიდარის სილა
სისხლით კვლავაც ისევ
გადაიღება,
კვლავ ურდოს მისდევს
ურდოთა კრება,
ვოლგის ნაპირებს
აფარებს თავსა,
აქ მტერს ატირებს,
ემსგავსვის სვავსა,
ხარბ მუცელს ივსებს,
ძარცვას და ძრომას
არ სწყვეტს და იწვევს
კვლავ მეფის წყრომას!..

---

და მოდის მტერი
მტრის ასაკლებათ,
სდის სისხლის ჩქერი,
არც წყლის ნაკლებათ...
და იბრძვის, იბრძვის

ეს ორი ურდო,
ერთმანეთისთვის
არიან უნდო,
მაგრამ, როს ერთი
იპყრობს, იმონებს,
ჩამოჰყავს ღმერთი
და ხატს იგონებს,
იცის ჯვრის შებმა,
მეფეს „სცხებს" მირონს,
რომ მისთვის სხვებმა
იგლოვ-იტირონ,
წამოიჩოქონ
წინაშე ძალის,
ფეხები ლოკონ
ბატონის, მწყრალის,
ატარონ ქვეყნად
ჩაგვრის უღელი,
იცოდენ შექმნა,
ერჩოდესთ ხელი,
არგონ, აამოხ
თავის ბატონებს,
თვითონ კი... თვითონ
ეძახდენ მონებს,—
მაშინ, ამავ დროს
მეორე ურდო
სულ სხვასა ჰფიქრობს,
მას სულ სხვა უნდა:
იგი ლაღია,
ბორკილ-აყრილი,
მას არ ატყვია
ქედი წახრილი,
უარ ურყვია
ბატონი, მეფე,
მზადა აქვს ტყვია
და მოკიაფე
აელვებული
მახვილიც ხელში,
ალალვებული
მტერს რო სწვდეს ყელში,
რომ გაცამტვერდეს
მისი ბუნაგი
და არ დაჰნებდეს,
რადგან მსუნაგი
არის და მკაცრი
ბატონი ყველა,
სიტყვას არ გაცლის,
არ არის შველა
ბატონის ხელში
ჩაყრილ მონების:
იქ, სატანჯველში,
არც კანონების
არც ღმერთის სარჩლი,
ხატის. არც ჯვარის,
თუ ქსურთ თქმა მართლის,
არა, არ არის!..
თუმც ამ დროს იყო
„უუმშვიდესი",
„მიხელიი კიკო",
მეფე, ალექსი,
მაგრამ სიმშვიდეს
რა ჰქვია მეფის,
ვინც ჰკვლიდეს, ჰღვრიდეს
ტბებს სისხლის ჩქეფის?!.
და მოდის ჯარი,
იგი მზად არის,
ხელში დანებით,
ავაზაკთ ურდოთ
ასკლებელად,
მოიწევს უნდოთ...
და ბრძოლის ველად
შეხვდა მტერს—მტერი,
გააფთრებული,
და სისხლის ჩქერი,
განახლებული,
კვლავ დადგა ღვარათ,
კვლავ ანაკადდა,
და გლოვის ზარათ
ბრძოლის მაყართა
გაისმის ცხადი
წვევა, ყუინა..
რაზმს სხვა ბელადი
მიუძღვის წინა!..

—:—

ეძახდენ იმას
**აქ სტენკა რაზინს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სისხლის წვიმას
ბელადი რაზმის
უდგამდა სულს და
მეთაურობდა
რაც კი მას სურდა,
(ის არ ხუმრობდა)
იქმოდენ ერთხმად;
სიტყვის უთქმელად,
ის მათთან ერთად
გაიჭრა ველად,
უსამართლობის
უარმყოფელი,
შეფიცულ ძმობის
ხელში მპყრობელი,
დამამშვენი და
შემამკობელი
ბატონთ მტერი და
დამამხობელი,
და ავაზაკი,
განთქმული, ვოლგის,
ეხლა კაზაკი,
ახლობელ ოლქის
ადრე უბირი
ყმა, გლეხი, მონა,
ვისაც თავს ჭირი,
დიდი მთის წონა,
აწვა და თმენა
გულს უწყალებდა,
სად იყო სმენა?
ვინ იბრალებდა?
მკაცრი ბატონის
ფოლადის ხელი
მხუთავი, მონის
უცეცხლოთ მწველი,
ხუნდათ და სალტეთ

ირგვლივ ეხვია,
თავს აწვა „მჩატეთ“,
როგორც რომ ტყვია!
არ იყო სუნთქვა,
არც გასაქანი!..
ცხოვრება, ვით ქვა,
როგორც საკანი,
ბნელი, სოფელი
და უმაქნისი,
როგორც ცხოველის,
დიოდა, მისი,
და, მასთან ერთად,
მასავით ყმების...
და ერთ დღეს ერთხმად
მათი მძლე ხმების
იქუხა მეხმა,
იზარა ზარმა,
და მტერთა მჩეხმა
ავაზაკთ ჯარმა
ბატონყმურს წესსა
გადაუხვია:
იწყო ხმლის ლესვა,
გაადნო ტყვია,
(ეგ იმ ცხოვრების
გადნობაც იყო!..)
და ყალიბების
ავსება იწყო
გამდნარ ლითონის
ჩამოსასხმელად,
უაბანიც მონის
დააგდეს ხელად,
და მიაშურეს
ვოლგა—მდინარეს,
მყის გადასცურეს
მეორე მხარეს,
რომ იქ დაეცათ
მკვიდრი ბანაკი,
უნებურ მხეცათ
გაიჭრენ რაკი;
ხოლო აქიდგან
დაეწყოთ ტევა:
დაბა-სოფლიდგან
ბატონთა რბევა,
მდიდარ ვაჭრების
ძარცვა და გლეჯა,
სამოსი ჩვრების:
ნამჯა და ქეჩა
რომ შეეცვალათ
ძვირფასი ფარჩით
და შეეთვალათ:
„დაგვნებდით! დაგვრჩით!!!“

---

დიდხანს, ო, დიდხანს
არზიეს იმათ...
ცრემლით და სისხლით
და სისხლის წვიმათ
მტერთ აზღვევინეს
თვის სესხი, ძველი,
ხმლებს ახევინეს
კასპიის ველი:
უყვარდათ ჟლეტა,
უყვარდათ ხოცვა,
კვამლიც სდგა სვეტად
და ბოლოს, როცა
მოჰბეზრდათ ბინათ
ვიწრო კარავი,
თან შეეძინათ
მათ უთვალავი
ოქრო და ვერცხლი,
ფარჩა, სპარსული,
მოჰყირჭდათ ცეცხლი,
ძუნწი, თარსული,
ნაცვლად, მოუნდათ
გიჟი ხანძარი,
გუნდათ და გუნდათ
დაიძრა ჯარი,
მდიდარ მოსკოვზე
უჭირავთ თვალი
და ყოველს დროშე,
მათი სვლა, მალი
მდინარე ვოლგას
მისერვას ალმა...
ბრბო, რისხვას რომ ჰგავს,
ქცეულა ნაღმათ!..
ასცდენ ცარიცინს,
დასწვეს სიმბირსკი
და იწევენ წინ
თამამი მისვლით,
დაარტყეს ალყა
სამარას, ყაზანს
და მოსკოვისკენ
მიდიან ახლა!..

---

შეკრთა, შეშფოთთა
ბატონთ უბანი,
შინაყმურ ბრბოთა
შემ:ეკრბენ სპანი...
და მოდის ჯარი,
მეფის ბრძანებით:
ცულდით და ფარით,
ხმლებით, დანებით,
მოდის მთით, ბარით,
აყაყნებით,
და ამბოხებულთ
ეკვეთა მეხით,
აბობქრებულ
ტევით და ჩეხით...
და შედრკა მტერი,
და იწყო ბორგვა,
და სისხლის ჩქერით
შეჰღებეს ვოლგა...
იბრძოდა სტენკა,
როგორც აფთარი,
მაგრამ როს შედრკა
მისი ჰამქარი
და ირგვლივ ყველა
შემოეცალა,
არ იყო შველა,
არც მკლავში ძალა,
ჩადგა ძლიერსა
ის განსაცდელში
და უნდო მტერსა
ტყვედ მოჰყვა ხელში!..
შეჰკრეს ბორკილით,
ბნელეთს ჩაჰკეტეს
ღამით და დილით
თავიც წაჰკვეთეს!..
მოჰკვდა, რაზინი,

---

მაგრამ ამბოხი
სული და ჟინი,
ეს ჩაგრულთ ოხი,
მძიმე ცხოვრების
თანაგზაური,
კვლავ აჯანყების
ნდომა, ზღვაური,
თავს ევლებოდა
ვოლგის ნაპირებს:
ერთი კვდებოდა
და კვლავ სხვა გმირებს
უხმობდა ახლა
კასპის მინდორი...
დაბალ და მაღალ
ნაპირებ შორის
ზვირთს სდევდა—ზვირთი
და ტალღას—ტალღა,
ელავდა ჰვილთი,
დაჰფრენდა ღალღა,
ცა სტიროდა, ნისლით
დანაბურალი,
ახლოს ვერ მისვლით
შორით ურალი
აღმოსავლეთით
იდგა დარაჯათ,
ნისლის ნაფლეთი
ეცვა ფარაჯათ,
და როს ღრუბლებით
იმოსებოდა,
ცივის ცრემლებით
იხოშებოდა;
იცოდა ელვით
მეხთ გავარდნები
და თეთრი ღელვით
თოვლის ბლარდნები
ცისა კამარით
დაეშვებოდა,
მკაცრი ზამთარით
თოვლი წვებოდა...
და ძრწოდა ქარი,
ფაფარ-აყრილი,
როგორც აფთარი,
კლანჭებ-წაწვდილი,
ჰკნესდა მთის ღარდო,
დრტვინავდა ბარი,
მაგრამ ეს მარტო
არ იყო ქარი!..
ეს იყო ტევა
შურისძიების,
თოფებით ნთხევა
ხშირის ტყვიების!
ეს იყო რისხვა
მტარვალთა თავზე,
განწირულთ მისვლა
სისხლის მსმელ სვავზე!
ეს იყო ჯანყი
და ამბოხება,
რაც, იწყებს რაკი,
სულ ფართოვდება,
მიიწევს მთისკენ,
ედება ჰალებს
და უხმობს თვისკენ
უპოვარს ძალებს!
ნაპირებ შორის
ესობა ყალყსა
მდინარის ტბორი...
და დაბალ-მაღალ
და მოჰქრის ქარი,
მოშხუის ტალღა,
ზვირთია ჩქარი,
ჰაერს ჰკვეთს ღალღა
ერთის ნაპირით—
მეორისაკენ...
ნიჩფის სმით ხშირით
ნაპირისაკენ
მოცურავს ნავი,
მოიწევს სწრაფად,
მას ტალღა ავი
ენთხევა ქაფად...
და მოდის... მოდის
ურდო, ამბოხი,
ხშირათ დაობლდის
სოფელში ქოხი!
ბატონთ ქარვასლებს
კი რა ატირებს?!.
ის, რომ ანახლებს
ვოლგის ნაპირებს
კვლავ ახალ ბრბოთა
ამოქმედება,
რაც გულთ ბატონთა,
ცეცხლათ ედება
და ცეცხლი კიდევ—
სოფელ-ქალაქებს...
ჯალათად მისდევს
ბრბო ძველს ჯალათებს,
რომ სისხლის წვიმა
გააძლიეროს!..
და უხდის იმათ
სამაგიეროს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



თანამედროვე ნიუ-იორკის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა

ათას წლეულსა
ჩაგვრის ნაცვალსა;
ფუ, დროს, წყეულსა,
და განაწვალსა!
გულქვა ბატონებს
რისხვა და კლება,
და ჩაგრულ მონებს
დღეიდგან შვება!..

ამ ახალს ბრბოს და
ამ ამბოხებას
სხვა სახეც ჰქონდა
და ამ სხვა წყებას
მეთაურობდა
იქ პუგაჩოვი.
ის ბრბოს უძლოდა
და სისხლის მწოვი
შიშ ქვეშ ეყენა
დიდი წოდება;
არ ჰქონდა თმენა,
არც შეცოდება
მას მცონარ ხროსი,
ტლანქის და ხეპრის,
და იყო დროსი
გმირი და კერპი,
ბრბოს მეთაური
და ატამანი!
მისებრ ზღვაური
გარს ერტყა ძმანი,
მისებრ ჩაგრული
ავაზაკები.
თვალი და გული
რაზმის, ნაქები,
იყო. ხელთ ეპყრათ
ყველას ცულები
და იყვნენ ძმებათ
შეფიცულები!..

და ისევ იმ გზით,
იმავ მიზანით
მიდის წინ რაზმით
ეს ატამანიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ერმაკი,
როგორც რაზინი!
მიაქვს თან ჯანყი
და ბრძოლის ჟინი:
იაიკიდგან—
ორენბურგამდე,
ურალის მთიდგან—
ქალაქ უფამდე.
ცარიცინს სიმბირსკს
დაარტყა ალყა
და ვოლგის ნაპირით
აწ მისდევს ძალლა.
დასწვა ყაზანი
და ააოხრა,
სიგრძით, თუ განით
მის არეს ოთხგან
შეუნთო ცეცხლი
და ამბოხება.
ყოველგან ფერფლი
და აოხრება
ბატონთ სახლკარებს
მან მიაყენა...
ეს ყმებს ახარებ
და ფრთებს შლის რწმენა!..
მეფედ აცხადებს
თავს ატამანი!
ეგ შიშს არ ჰბადებს;
პირ იქით, ყმანი
ლხენით ხვდებიან
ამ ახალს ცნობას,
რადგან ელიან
მეფისგან ძმობას,
ვით ჩაგრულები—
ჩაგრულის ხელით!..
და შეთქმულები
ამ წინსვლით, ძნელით
თვით მოსკოვისკენ
იწევენ სწრაფად.
ცის რისხვად იქცენ
და ბრძოლის დაფად!..

---

და კვლავ შეშფოთდა
ბატონთ უბანი.
შინაყმურ ბრბოთა
შეჰყარეს სპანი.
და მოდის ჯარი,
თოფ-ზარბაზანით...
მტერი, გაფრთხალი,
გარბის ყაზანით:
თავქვე დაეშვენ
მათი ნავები.
მოსკოვს მოეშვენ
და აწ თავები?
გადასარჩენათ
მიაქვთ ასტრახანს;
აწ სისხლის დენაც
გულს ველარ მოჰფხანს
მიზანს აცდენილ
ბრბოს, აჯანყებულს,
და მწვანით ფენილ
[illegible]ის ველს, ქებულს,
აწ უკვე შორით
შეჰნატრის გული,
ამ მარცხის შმორით
შეძრწუნებული!..
მაგრამ გზას უჭრის
მათ მძლავრი მტერი
და კვლავ ქედს უხრის
ცხოვრების გერი.
ვინც ამ ცხოვრების
არის ბატონი!
და ამბოხების
ეს მკაცრი დრონი
დასრულდა მით, რომ
დაეცა ურდო!
მისთვის საწუთრო
შეიქნა უნდო!..

---

და მოდის.. მოდის
ტყვეთა გუნდები...
რომც იყვე ლოდის,
აქვითინდები,
მათი დახახვა
ისეა ძნელი
მტერმაც მომახვა
სიკვდილის ცელი
და ბრბოს. აწ ტყვეულს,
გაავლო მუსრი.
მან მის ცივ სხეულს
დაადგა ქუსლი,
და ატამანი
თვისი ამქარით,
ამბოხი ძმაჲი
გიჟი ხარხარით
მტერმა აჰკიდა
სახრჩობელაზე:
ცოდვა გადიდდა
მათზე, ყველაზე!..

---

ეს ძოხდა ღამით,
როდესაც ვოლგას
ლურჯი კამკამით
მაღლიდგან ქოლგათ
უტყვი, მდუმარი
ცა გადაშლოდა...
მოჰქუხდა ქარი,
ძარღვი აშლოდა,
ზვირთი იძროდა,
ტალღა ჰბუქსავდა,
ის შხეფთ ისროდა,
მათ ქვიშა ნთქავდა,
თითქოს მოს[illegible]
მიდამო ცივი:
შორით რომ სჩანდა
წყლის მკერდზე ჯივი,
ტივზე—ბურჯებით
ზედ—სახრჩობელა,
და ზედ ურჩები
ეკიდა ყველა;
თითქოს. შვებულნი
ბრძოლებ-გარდავლით,
[illegible]
მდიდარ ნადავლით,
მაღლა ფრიალი
გააქვთ დროშებით,
და როგორც მთვრალნი,
შეზარხოშებით,
წყალს ისხმენ პეშვით
და ბანაობენ,
მოდიან ცეკვით...
მოქანაობენ...
ასე დამშვიდდა
„სული ამბოხი“!
აქა-იქ მიხდვრად
წამოდგა ქოხი
და ქალაქებიც
წამოდგა ყველა...
ტრაქტებით, გზებით
გადაისეა
ვოლგისა მხარე,
მოუსვენარი.
ცით მზე და მთვარე,
სხივთა მფენარი,
იქ დღეს და ღამეს
ინაწილებდნენ,
და დრო და ჟამებს
მიაცილებდნენ...
ნისლი რომ ადგა
ჯანყსა და შფოთში,
ცხოვრება ჩადგა
მკვიდრ კალაპოტში,
და ასე იწყო
გაძლიერება...
და ქვეყნად ვიწრო
ბედნიერება
საერთო ლხენას
გადაელობა:
დაშალა რწმენა!..

---

დაჭქსასა გრძნობა!..
დრომ ვერ დაშალა
„სული ამბოხი“!
ეს ჩაგრულთ ძალა
და ტანჯულთ [illegible]
ჰაერს შეურთო,
გზებს შეუყენა...
ცეცხლით შეუნთო
ახალი რწმენა:
სოფლებს, ქალაქებს,
მუშებს, ხელოსნებს,
სავაჭრო სახლებს,
რკინის გზებს. ქარხნებს,
მანქანებს. ქმედებას,
გემებს, ზღვაოსნებს.
ჩარხებს და ღვედებს,
მწერლებს და მგოსნებს,
თვით ხელოვნების
მშვენიერს ტაძრებს
ის მებრძოლ მცნების
უგზნებდა ხანძრებს!
და ეს ხდებოდა
თუმცა ძალ უძად,
ჯერ კი რჩებოდა
იდუმალ-ჩუმად:
ჰგავდა ნაპერწკლებს
ცხოვრების გულში,
ისე, ვით თესლებს
ინახვენ ხნულში,
რომ ჯერ იქ [illegible]
იღვივ—იმალონ
და ზღვა ჯეჯილად
კვლავ გადიშალონ...
და თუმც ხნულს თეთრად
თოვლი აწვება
მიდამოს მკვეთრად
სუსხი აწყდება,
ქვეშ მაინც თბილა:
ნორჩი ღვივდება
და ლურჯ ჯეჯილათ
აბიბინდება
ტკბილ გაზაფხულზე
„თესლი, კეთილი“!..
და პირშავ ხნულზე
[illegible]
რომ ეგდო ზამთრით
მკედრ-დასერილი
ახდება ამ გზით
შრომის წერილი„!..
სწორედ ასეა
ცხოვრებაც ჩვენი:
ის ალსავსეა
იმედით, რწმენით
სამომავალო
ტკბილ გამარჯვების,
თუხდ ესოს პალო
მკერდს მძიმე ხვედრის!..
და პალო არა,
ესო თვით ჯვარი,
და არც პატარა,
უზარმაზარი,
და არა ერთი,
აურაცხელი,
თუმც „იყო ღმერთი“
არ სჩანდა მხსნელი!..

(დასასრული იქნება)

ნ. ზომლეთელი.



წინანდალის მამულში მუშების სადგომი სახლი





1. წინანდალის ს ხალხო მამულის სარდაფი
2. ურიათ-უბნის საცდელი მამული

# „მ ე"

(ნაწყვეტი პოემიდან).

1.
... მე მაგონებლა
შეყვარებულივით,
რომ ვთრთ··დი
პირველ ლექსის
წერის დროს...
მე მაშინ
ვიყავ 12-წლის ბავშვი;
ხელები ქიმიურ ფანქარისგან
გაკეთებულ მელნით
მქონდა დასვრილი
და დათხუპნული,
მაგრამ ჩემი სული,
ისე იყო აზვირთებული,
რომ თავი დიდ გენიოსად
წარმომედგინა იმ დროს...
(ეხლაც მსურს ვინატრო
ის დრო).
2.
მე ვოცნებობდი მაშინ:
მე დავიპყრობ
მთელ ქვეყანას...
მე რითმებში—
გრძნობების თამაშით
ავამუსიკებ მეოცე საუკუნის
ფენომენალურ მოვლენათ.
მთელ სერიებს...
ცის ზენიტიდან—
ჰორიზონტამდე—
ამაყი ფრთებით
გავიქროლებ,
გავისეირნებ...
ვნახავ: ოლიგარხების
კარნავალებს და მასკარადებს
და ყოვლად შემძლე
დინამიტებით
ავაფეთქებ მათ
სადგომებს და ბუნაგებს.
3.
მე ვოცნებობდი მაშინ:
(ჯერ კიდევ ბავშვი)
მე გავხდები გმირი,
დიდი ბელადი
რევოლიუციის...
უნდა დავამსხვრიო
ციხე და ციმბირი...
(თუმცა ის:
ციხე და ციმბირი)
არას დროს არ მენახა...
მახსოვდა მხოლოდ,
დედა, როცა ერთ საღამოს
სტიროდა მწარედ:
წყევლა და კრულვით
იხსენიებდა:
ციხეს და ციმბირს.
4.
პირველი ლექსის
წერის დროს:
ბევრი ვიოცნებე...
მაგრამ ეს ლექსი შემდგომ
აგურის კედლებში
მოვათავსე:
მაშინ მეგონა ასე:
— ეს ჩემი პირველი
მარგალიტი
იქნებოდა—ახალი ეპოქის
მაუწყებელი ჩიტი.
5.
მე, ბავშვობისას
ვმუშაობდი
აგურხანაში...
ჩემთვის ეს—მეტად
მძიმე შრომა იყო იმ ხანებში.
ვზიდავდი აგურს,
კრამიტს და წითელ მურით
მარად მქონდა სახე
დასვრილი და დათხუპნული...
ქარში.. თვალები მარად
მევსებოდა მტვერით...
ქარში... ყაზარმებში
ტრიალებდა ჯოჯოხეთი...
და მეც გამურულ სახით
წითელ-მტვრიან
ტანისამოსით
ხშირად ჩავფიქრდებოდი
მძიმე შრომით
დაღლილი და დახაოსი:
— მე ბავშვი—პოეტი,
რომელიც ვოცნებობ
მზეზე,
მტვერში და ქარში?!
რად უნდა ვწვალობდე
რად უნდა ვრყვე
ამ ვაებაში?!!
მე ბავშვი—პოეტი,
რომელიც ვოცნებობ
მზეზე,
უნდა მივქროდე
შორს, შორს
ცის ზენიტისკენ...

პეტრე სამსონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომენ როლლან

**(დაბადებიდან 60 წლის შესრულების გამო)**

პატარა ქალაქი კლამესი, ნიევრის დეპარტამენტში. აქ დაიბადა რ. როლლანი 1866 წელს 29 იანვარს.

პირველ დაწყებითი სწავლა და ბავშობა ამავე ქალაქში გაატარა. შემდეგ პარიზში, ლუი დიდის ლიცეში, სადაც პოლ კლოდელი იყო მისი ამხანაგი.

ბავშობიდანვე მუსიკა იყო მისი საყვარელი საგანი,—მუსიკა, მარადისობის სიმბოლო, მაგრამ მამის სურვილისამებრ ის შედის 1886 წელს „ეკოლ ნორმალში".

მისი მასწავლებლები იყვნენ ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი—ბრიუნეტერი, ფილოლოგი ბუასსიე, ფილოსოფოსი ოლლე ჰაპრიუმი და ბროშარი. კრიტიკოსი გაბრიელ მონო. ამ ხანებში შეიმუშავა მან თავისი ფილოსოფიური შეხედულება.

1889 წ. რ. როლლანი გაემგზავრა რომში. რომი, რომელიც გარდაქმნის „ახალ ადამიანად" გოეტეს თქმით, როგორაცვე მოექცევი მის კედლებში.

რომში გაიცნო მალვიდა მეიზენბუგი, იდეალისტი ქალი, რომელიც მესამოცდაათ წლებს მიტანებული ისვენებდა აქ. მასაც უყვარდა მუსიკა. მისი გავლენით რ. როლლანმა დაიწყო დრამების წერა.

პირველი დრამა „ემპედოვლი" დაწერილია 1890 წელს. შემდეგ „წმინდა ლუი". ამას მოჰყვა ოთხი დრამა რევოლიუციონურ დროიდან აღებული: „მგლები", „გონიერების გამარჯვება", „დანტონი" და „14 ივლისი".

დრამებზე ის დიდ იმედებს ამყარებდა. სწერდა: „და ბოლოს უნდა მიეცეს სიტყვა ხალხს, უნდა დაარსდეს „თეატრი ხალხისათვის", სადაც საზოგადო შემოქმედება გადაიქცევა საზოგადო მხიარულებად... თუ ხელოვნება არ მიეგებება ხალხს,—ის დაიღუპება"...

რომენ როლლანის თეატრმა ცხოვრებაში ვერ ნახა გამარჯვება.

ამის შემდეგ დაიწყო ახალი გზების ძიება. ეს იყო დიდი ადამიანების ცხოვრების აწერა. „ბეთხოვენის ცხოვრება", „მიქელ ანჯელო" და „ლევ ტოლსტოი".

ბეთხოვენის ცხოვრების წინასიტყვაობაში რომენ როლლანის მიერ გამოთქმულია ეთიური და ესტეტიური შეხედულების ალსარება: ჩვენს გარშემო ატმოსფერა დახუთულია, ძველი ევროპა იყინება მისივე შექმნილ ბორკილების ქვეშ. ქვეყნიერება მოშხამულია გათახსირებულ ეგოიზმით, ცხოვრება იხუთება! გავაღოთ ფანჯრები! მეტი ჰაერი!.. ვიცოცხლოთ გმირების სულით!.. ჩვენ მარტონი არა ვართ ბრძოლაში, დროს გაუხსნათ საზღვრები, გავაცოცხლოთ სულები, სახელოვანს იმას მე არ ვეძახი, ვინც გაიმარჯვა აზროვნებით ან მატერიალური ძალით,—არა, გმირი ის არის ვისაც დიდი გული აქვს!...არა დიდი სულის მქონე, ვერც გახდება ხელოვანი, ვერც სახელოვანი. ისინი მხოლოდ დროებით იქნებიან მასსის კერპები, მერე კი უშედეგოთ გაქრებიან. ჩვენ არ გვაშინებს მათი გამარჯვება, საქმე იმაშია ნამდვილად იყო დიდი, და არა ასეთად მოეჩვენო სხვას. დიდ ადამიანთა ცხოვრება განუწყვეტელი წამება იყო, და თუ ისინი ცნობილი იყვნენ თავისი ენერგიით, ამავე დროს დიდები იყვნენ თავისი უბედურებით... დაე ჩვენთვისაც გამამხნევებლი იყოს მათი ცხოვრება!"...

პარიზში დაბრუნებისას რ. როლლანმა გამოაქვყნა ორი დოქტორატის თეზა ერთი ლათინურ ენაზე: იტალიური მხატვრობის დეკადანსი XVI საუკუნეში. მეორე ფრანგულ ენაზე: ოპერის ისტორია ევროპაში ლიულლის და სკარლატის წინ.

შემდეგ დაიბეჭდა პირველი წიგნი რომენ როლლანის დიდი რომანისა „ჟან კრისტოფი".

ათ ტომიანი ჟან კრისტოფი, არც რომანია, არც პოემა,—ეს არის, თუ გნებავთ, მთელი სიმფონია.

ხელოვნების გამარჯვებისათვის ხშირად დაეცემა ჟან კრისტოფი, მაგრამ კვლავ აღდგება, და კვლავ ცხოვრება, კვლავ სიხარული, კვლავ ბედნიერება... კვლავ ბრძოლა...

პირველი ტომი, „განთიადი". აწერილია ჟან კრისტოფის ბავშობა. მთელი ქვეყანა, გიჟური თავდავიწყება, გატაცება, სიხარული, აღფრთოვანება, სიყვარული და როგორც მდინარის ჩხრიალი, მისი დიადობა, დაუსრულებელი ბრძოლა—იზრდება და ვითარდება ბავშის სულში. ეს გამოურკვეველი სილაღე ზრდის მის ყოველ კუნთს სხეულისას, მის სულს—და [illegible] უმწეოვალესობამდე. ის გრძნობს, რომ ის არის დიდი მთა და ქარიშხალი არხევს მის სულს. დიადი უძლეველი, შეუცვლელი, ურყეველი, ოცნება ხშირად ეჯახება სინამდვილეს და იწყება ტანჯვები. ტანჯვები მას ამაგრებს—იწყება ბრძოლა.

შემდეგი ტომი „დილა". გადმოცემულია ყმაწვილის სულიერი გარდატეხა. ის გრძნობს, რომ ის უფრო დიდია, ის კი არ არის, რაც არის ამ ჟამად, არამედ ის რაც იქნება ხვალ...

მესამე ტომი „ყრმობა": მუსიკის თავისებურ მოგონებას ჰპოებს და შემოქმედებასაც საკუთარს ეძიებს. მარცხდება. იწყება ბრძოლა.

მეოთხე წიგნი. „ჯანყი": ბრძოლა რუტინასთან. დაღლილ დაქანცული ფიცსა სდებს მთელი ენერგია და ფიქრებს მუსიკას შეალიოს.

მეხუთე ტომი „ბაზარი მოედანზე". კრისტოფი ილტვის პარიზში. აქ უნდა ჰპოვოს შვება, მაგრამ პირველ ხანად პარიზის გაცნობა მის აღფრთოვანებას ფრთებს შეაკვეცს. აქ ყველაფერი იყიდება: სახელი, პატიოსნება, სიყვარული, დიდება, სახელი, გულწრფელობა... ის ეძებს ნამდვილ საფრანგეთს.

მეექვსე ტომი „მეგობრები": იპოვის მეგობარს. ეს მეგობარი ნაზი ავადმყოფური არსებაა. გადახარშული აქვს სკეპტიციაზმი, სანტიმენტალისტი და იდეალისტია. კრიტიკოსი მუდამ ენერგიით სავსე, ოპტიმისტი, მუდამ ბრძოლისთვის გამზადებული. დიდი ბავში, ნაივი და ვნების მქონე. სავსე დუღილით—მოუსვენარი.

მეშვიდე ტომი—„ანტუანეტტ", მერვე „ოჯახში". ამ ტომებში აწერილია სიყვარული განცდები.

მეცხრე ტომი—„ცეცხლ მოკიდებული ბუჩქი". იეგოვა გამოეცხადა მოსეს ცეცხლ მოკიდებულ ბუჩქში, კრისტოფი ესაუბრება ღმერთს. ღმერთი ეუბნება: მე არ ვარ ის, რაც არის. მე ვარ ცხოვრება, რომელიც უარყოფს უფსკრულს, მე არ ვარ უფსკრული, მე ვარ ცეცხლი, რომელიც იწვის წყვდიადში, მე ვარ ბრძოლა მარადი: მე ვარ თავისუფალი ნებისყოფა, რომელიც დასაბამიდან იბრძვის. იბრძოლე და დაიწვი ჩემთან ერთად!..

უკანასკნელი მეათე ტომი—„ახალი დღე". კრისტოფი კვდება, როგორც ბეთხოვენი. მარტოობაში, უსახსრობაში, ყველგან დავიწყებული, მიტოვებული—მაგრამ კარანდაშით და პარტიტურანით ხელში, ფანტასტიურ ორკესტრის სმენაში...

„ცხოვრება არის ცვალებადობა სიკვდილის და აღდგომის... მოვკვდეთ კრისტოფ, რომ კვლავ აღვდგეთ!!!

რომენ როლლანის სახელი მომზადდა, არა ლიტერატურაში მეგობრების მიერ, არამედ ლიტერატურისთვის სავსებით მოულოდნელად,—მკითხველებში, როგორც მთის ნაკადი ხმაურობით ჩავარდნილი ტბაში.

1913 წელს ივნისში საფრანგეთის აკადემიამ, რომენ როლლანს მიუსაჯა ლიტერატურული პრემია—ათი ათასი ფრანკი. ამის გამო ერთმა აკადემიკოსმა სთქვა: ჟან კრისტოფის ავტორი პრემიით კი არ უნდა დაჯილდოვდეს, არამედ გვირგვინით.

ჟან კრისტოფი იბეჭდებოდა ათი წლის განმავლობაში. ავტორი ამუშავებდა მას თხუთმეტი წელიწადი. ტყუილად კი არ ადრებენ ამ ნაწარმოებს კონსტანტინეპოლის აია-

სოფიის ტაძარს, რომელიც საუკუნოებით შენდებოდა და რომლის გუმბათმა ჯვარი შესცვალა მთვარეზე.

1919 წელს გამოქვეყნებულია რ. როლლანის რომანი „კოლა ბრენიონი“. ამ რომანში გამოიხატა რ. როლლანის ძლიერი მოთხოვნილება ერთხელ კიდევ იგემოს თავისი ერის სულიერი ნოყიერი წვენი! დიდია ძალა მშობლურ მიწის და მას ვერავინ აღუდგება წინ!..

სატირული პიესა „ლილიული“-ში (ილლიუზია) ომის პრობლემაა დაყენებული.

„მახატმა განდი“-ში რ. როლლანი ერთხელ კიდევ მძლავრად აგვიწერს ინდოელ დიდი კაცის ცხოვრებას.

ცხოვრებაში გამარჯვებისათვის, დასახული მიზნის მიღწევისათვის,—საჭიროა მონაგონი დიადი ძალა. დროებით დამარცხება ასეთი სულისთვის, მხოლოდ ექსპერიმენტია, ენერგიის შეკუმშვაა, დასვენებაა—სხვა არაფერი! გამარჯვება, სახელი, მზიანი კუთხე—მუდამ წინ არის! თუ შენ დიდ სულოვანი ხარ, თუ შენში არის შინაგანი დიადი ძალა,—ეს აგამაღლებს შენ და არა შენი ლტოლვა ამაღლებისკენ!..

ეს სიტყვები ეკუთვნის რ. როლლანს და არც არის ვინმე თანამედროვე ევროპაში, ვისზედაც ასეთი სიცხადით გამართლებულიყოს ეს აზრი, როგორც თვით ავტორზე.

მისი სახელი დმსახურებულია არა კომპრომისებით, არა რეკლამებით, არა ძიებით და ყოველნაირი შესაფერი თუ შეუფერებელი მოქმედებით სახელის მოხვეჭისათვის, —რ. როლლანი წყნარად და უბრალოდ ჰქმნიდა მას, რითაც ამჟამად მოჯადოებულია მთელი ქვეყანა.

**დ. ხ—შვილი.**

# ხევსურეთი

ხევსურეთი, რესპუბლიკის ადმინისტრატიულ დაყოფვით შედის 1923 წლიდან დუშეთის მაზრის ფარგლებში, მანამდე კი იგი შეადგენდა ყოფილ თიანეთის მაზრის ნაწილს.

ხევსურეთი მდებარეობს „ხევსურეთის არაგვის“ და „არღუნას“ მდინარეების ორივე ნაპირებზე. ხევსურეთის ტერიტორია წარმოადგენს სალ კლდეებს და ესაზღვრება ჩეჩნეთის და ინგუშეთის ავტონომიურ ოლქებს. მთელი მოსახლეობა შესდგება სულ „53“ სოფლიდან, „888“ კომლისაგან და „3598“ ორივე სქესის სულისაგან.

### გზები:

ქ. დუშეთიდან 20 ვერსის მანძილით მიდის საშუალო ურმის გზა სოფელ თვალივამდე, შემდეგ ეს გზა მიიმართება ფშავზე და უკანასკნელიდან-კი ხევსურეთში, მხოლოდ არა საურმე გზის სახით, არამედ ვიწრო ბილიკებით, რომელზედაც მოგზაურობა შეიძლება მხოლოდ ფეხით, ცხენით და ჯორაკანით და ისიც მხოლოდ ზაფხულის განმავლობაში. ზამთარში-კი ეს ბილიკები ცალფეხ მოგზაურობისათვისაც გამოუსადეგარია. აუწერელია ის მაღალი კლდეები, რომლებზედაც ბილიკია გაყვანილი, მათი მისახვევ-მოსახვევები და ღრმა ხევები, საიდანაც ქვევით ჩახედვით ადამიანს თმას ყალყზე დაუყენებს. წვიმების, თოვლის და ნამქერის დროს ეს ბილიკები ირეცხება და სრულიად ჰკარგავენ თავიანთ არსებობის ნაშთს. ყოველ ასეთ შემთხვევებში ხევსურები სოფლეურად (რამოდენიმე სოფელი ერთად) გამოდიან და ეძებენ ახალი ბილიკის გასაყვანად შესაფერ მიმართულებას და აკეთებენ ახალ ბილიკს. დაახლოვებით ოქტომბრის თვის დამდეგს მთელს ხევსურეთში მოდის დიდი თოვლი. ამ მიზეზით მთელი ხევსურეთი ჰკარგავს ყოველგვარ კავშირს არამც თუ მაზრის ცენტრთან, ქ. დუშეთთან, არამედ ყოველგვარი კავშირი წყდება ურთიერთშორის ახლო მდებარე სოფლებთანაც-კი, და ხევსურეთი კარჩაკეტილია 7 თვის განმავლობაში.

### სწავლა-განათლების საქმე

მიუხედავათ იმისა, რომ ხევსურეთის მოსახლეობა „3598“ სულამდე დადის, ხევსურეთში დღეს მხოლოდ ერთი სკოლა არსებობს, ისიც არა შუაგულ ხევსურეთში, არამედ ხევსურეთის ყელში (შესავალში) სოფელ ბარისახოში 1924 წლიდან. ამ სკოლისათვის გადაკეთებულ იქნა სამაზრო აღმასკომის მიერ ყოფილი უმოქმედო ეკლესია, რომელიც დაუმთავრებელია ბიუჯეტის შეკვეცის გამო. ამას თან უნდა დაერთოს ის, რომ სკოლა სრულებით არ არის მომარაგებული საჭირო სასკოლო ინვენტარით, რისთვისაც, ზეზე დგომით ფანჯრების დირეზე მეცადინეობენ. საერთოდ ხევსურეთის მოსახლეობა სწავლა-განათლებას პირველყოფილი ადამიანის თვალსაზრისით უცქერის, მოსახლეობის შორის არ მოიპოვება აქტივისტები, რომ ხალხი მიაჩვიონ სწავლას. პირიქით, ზოგიერთ ხევსურს, სწავლაზე ასეთი შეხედულება აქვს: თუ მთავრობა დაუნიშნავს ჯამაგირს, მხოლოდ მაშინ მისცემენ ისინი თავის შვილებს სკოლაში. სასწავლო ნივთების უსასყიდლოდ მიცემაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან ორი წლის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ასეთები მათ სრულიად უსასყიდლოდ ეძლევათ. ასეთია მოკლედ ხევსურეთის კულტურული მდგომარეობა. საჭიროა იქ სკოლების გახსნა. რომ ხალხი სიბნელიდან გამოვიდეს. ჯერ-ჯერობით ცხადია სახელმწიფო ამას ერთბაშად ვერ შესძლებს, მაგრამ ახლავე აუცილებელია, რომ ხევსურეთში არსებულ ამ ჟამად ხუთ თემში მაინც, მთავრობის ხარჯზე, ვინაიდან ადგილობრივ საშუალებებით ასეთი ვერ მოგვარდება, გაიხსნას თითო სკოლა. ამისათვის საჭიროა აშენდეს ყველგან ახალი სკოლის შენობები, ვინაიდან ხევსურების საცხოვრებელი ბინები და საერთოდ მათი შენობები სკოლებისათვის არ გამოდგება და იქ მეცადინეობის წარმოება ყოვლად შეუძლებელია. სკოლა უნდა მოწყობილ იქნეს მთავრობის ხარჯით უეჭველად ინვენტარით და მასთან თვითეულ სკოლასთან უნდა მოეწყოს პატარა პანსიონი, მოწაფეების კვირიდან-კვირემდე თავშე-



საფარად, რადგან ბავშები სწავლის გათავების შემდეგ, მთების სი-
მრავლის და თოვლის გამო, სახლებში ვერ დაბრუნდებიან და ღამე
უნდა გაათიენონ სასწავლებელში.

რაც შეეხება ხევსურეთის სკოლების მასწავლებლებს, უნდა
ითქვას: ვინაიდან ხევსურეთის მოსახლეობა კულტურულად ძალიან
ჩამორჩენილია, მთელი 7—8 თვე თოვლის გამო დაკეტილია და მო-
წყვეტილია ყველაფერს, მასწავლებლები ძალიან ერიდებიან ამ
კუთხეს. ერთად-ერთი გამოსავალი არის ის, რომ იქაურ მასწავლებ-
ელს დაენიშნოს ორმაგი ჯამაგირი და ისიც მთელი წლისა, გარდა
საზაფხულო არდადეგებისა, უნდა მიეცეს წინდაწინ, რომ ამით სა-
შუალება მიეცეთ წინასწარ შეიძინონ მთელი წლის საზრდო და
თიბლი ტანისამოსი. მხოლოდ ასეთი საშუალებებით შეიძლება ხევ-
სურეთისათვის მასწავლებლების შოვნა, თორემ ორი წლის პრაქ-
ტიკით ვიცით, რომ ჩვეულებრივ პირობებით იქ არავინ არ მიდის.

## სამედიცინო დახმარება

მთელს ხევსურეთში არც ერთი საექიმო და საფერშლო პუნქ-
ტი არ არსებობს. 1925 წლის დასაწყისში განზრახული იყო აღმას-
კომის მიერ ხევსურეთის შესავალში, სოფელ ბარისახოში საექიმო
პუნქტის გახსნა, მაგრამ, ვინაიდან ამ სოფელში არ იყო შესაფერი
ბინა. ასეთი გაიხსნა უკანა-ფშავში, სახელდობრ სოფელ შუაფხოში,
რომლითაც ხევსურეთის მოსახლეობა სრულებით ვერ სარგებლობს
ფებს, თუნდაც ქალებს, კაცებზე ლაპარაკი ზედმეტია, ავადმყოფ
ქალთან ახლო მიკარების უფლება არა აქვთ და ავადმყოფი ქალი
ხშირად კვდება უპატრონოდ.

ამ გარემოებას ხევსურეთის მოსახლეობა ანგარიშს უწევენ და
მოწადინებულია ადგილობრივ ჰქონდეთ საფერშლო-საექიმო პუნქ-
ტები სამშობიარო განყოფილებით. ხევსურების მხრივ მედიცინისა-
დმი რწმენა რომ არის, ილიუსტრაციისათვის მოვიყვან შემდეგ
მაგალითს: სამაზრო აღმასკომს ჯანმრთელობის ინსპექციამ (როდ-
გან ხევსურეთში პუნქტები არ არის) შატილის მილიციის უფროსს,
ამხ. თ-ძეს მისცა მედიკამენტები, ხევსურეთის მოსახლეობისათვის
უსასყიდლოთ დასახმარებლად საჭიროების დროს. თ-ძესთან მისულა
ერთი ხევსური მუცლის ტკივილის წამლისათვის. მას მუცლის
ტკივილის წამალი არა ჰქონია და ხევსური-კი დაჟინებით ითხოვდა
ასეთს.

ბოლოს თ-ძეს მიუცია სამი „ფხვნილი“ და დაურიგებია: ერთი
ფხვნილი დაელივნა სახლში მისვლისთანავე, მეორე ფხვნილი ორა-
სამდი დათვლის შემდეგ და უკანასკნელი—სამასის დათვლის
შემდეგ. ხევსურს შეუსრულებია თ-ძეს დარიგება და მიუღია სამივე
ფხვნილი. მესამე დღეს მისულა თ-ძესთან და გადაუხდია მადლო-
ბა, შენმა მოცემულმა წამალმა მარგოვო.—აქედან ცხადად ვხე-
დავთ, რომ ხევსური პატივისცემით ეპყრობა მედიცინას და აუ-



სიშორის გამო.—საექიმო პუნქტების მოთხოვნილება ძალიან დი-
დია, ვინაიდან ხევსურეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ თითქმის პირ-
ველყოფითი მდგომარეობაშია. მათ აქამდე დარჩენილი აქვთ ძვე-
ლებური ადათი „სისხლის აღება“, ამას უნდა დაემატოს ხშირი ხა-
ტობა, სადაც ითვრებიან, მოსდით ერთმანეთში ჩხუბი და მათი
ჩხუბი კი იწყება იარაღით. სჭრიან ერთმანეთს, ხშირად უსუფთაო-
ბით ეწამლებათ სისხლი და კვდებიან. ცხადია, პუნქტები რომ ყო-
ფილიყო, ასეთი შემთხვევები ხშირი აღარ იქნებოდა. დიდია აგრე-
თვე ბებია-ქალების მოთხოვნილება. ასეთი აიხსნება შემდეგით: ხე-
ვსურეთის ქალები ორსულობის დროს—უკანასკნელ თვეებში იდევ-
ნებიან ოჯახიდან, ამისათვის განსაკუთრებულ ა აგებულ, ეგრედ
წოდებულ ბოსელში; ეს უკანასკნელი აქვთ მოწყობილი მხოლოდ
შეძლე ოჯახებს, შეუძლებელი ოჯახების ქალები-კი მშობიარო-
ბას იხდიან გარედ, ცის ქვეშ. მშობიარობის შემდეგ 40—50 დღე,
ქალს შობილით სახლში არ უშვებენ, ვინაიდან ამას უწუდებენ
„ბინძურს“ და ძალიან ხშირად უპატრონოდ და სიცივით, ქალიც
და ბავშვიც კვდება. ასევე „თვიურის“ დროს, ქალი 3—7 დღემდე
კარში იდევნება.

ასეთ შემთხვევის (ორსულობა—თვიურის) დროს, კარგად მყო-
ცილებელი საჭიროა ხევსურეთში საექმო-საფერშლო პუნქტების
ქსელის გამრავლება, მათი ჯანმრთელობის დასაცავად და ხალხის
საკეთილდღეოდ.

## ხელისუფლება

1917 წლიდან ხევსურეთში არ არსებობდა ხელისუფლების
ადგილობრივი ორგანოები. მხოლოდ 1924 წლიდან მოხდა ადგილო-
ბრივ ორგანოების ჩამოყალიბება და ამჟამად არსებობს ხუთი თე-
მის საბჭო და ხუთი თემის აღმასკომი.

შემადგენლობა როგორც საბჭოებისა, აგრეთვე აღმასკომე-
ბისა არჩეულია ადგილობრივ ხევსურ მოსახლეობისაგან. მიუხედა-
ვად ამისა, უნდა ითქვას რომ ხევსურეთში საბჭოთა ხელისუფლება
განმტკიცებული არ არის უგზოობა, მოსახლეობის სრული უკულ-
ტურობა და მათი ძველი ადათ-ჩვეულებანი. სამაზრო აღმასკომს
არა აქვს არავითარი საშუალება, რომ ამ კუთხეს მიაქციოს ჯერო-
ვანი ყურადღება, გაიყვანოს გზები, ააგოს სკოლები, დაარსოს საე-
ქიმო პუნქტები და სხვა და საერთოდ ამ კუთხესთან დაიჭიროს
ცოცხალი კავშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

მიუხედავათ იმისა, რომ 1917 წლიდან ხევსურეთს არ გადაუხდია არავითარი სახელმწიფო გადასახადი. წელს, ადგილობრივად სათემო აღმასკომების ჩამოყალიბების საშუალებით, შევსძელით სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიზნისათვის ფაქტიურად ადგილობრივად აღწერა არ მომხდარა მოსახლეობის ქონების აღწერა მოხდა თემაღმასკომების თავმჯდომარეების და რაიოდენიმე ხევსურის დაკითხვის საშუალებით ეს გადასახადი ხევსურებმა თუმცა საგრძნობ—დიდ გადასახადათ იგრძნეს. მაგრამ ამის მიუხედავად დღევახდლამდე შემოსულია 30%% და დანარჩენის შემოტანის ვადა ითხოვეს გაზაფხულამდე. ვინაიდან ხევსურეთი ამ ჟამად უკვე დაკეტილია თოვლის მოსვლის გამო

## ხევსურეთის ყოფა-ცხოვრება

სისხლის აღება დღემდე ეს ჩვეულება ხევსურეთში დარჩენილია. დღესაც არიან ოჯახები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გადაკიდებული არიან სასისხლოდ მოპირდაპირე ოჯახთან და ლამობენ გადუხადონ ერთი მეორეს სისხლი. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახის უფროსი კვდება, დამრჩენს ანდერძად უტოვებს, რათაც არ უნდა დაუჯდეთ უეჭველად აიღონ სისხლი მოპირდაპირე ოჯახისა.

ცხადია ასეთი მოვლენები ხევსურეთის მოსახლეობას ამცირებს და ხალხი თანდათანობით თხელდება

**სოფელი შატილი:** ეს სოფელი არის მოსაზღვრე სოფელი ქისტეთთან. სოფელში 50 კომლზე მეტია.

სოფელი სულ ციხე-კოშკებით არის აშენებული (შიგვე ცხოვრობენ), ეს ციხე-კოშკები ისეა აშენებული, რომ ერთ კარებიდან მოივლი მთელ სოფლის ციხე-კოშკებს ამის მიზეზი არის ძველი დროს შიშიანობა მტრისაგან და სიმაგრის გულისათვის ციხე-კოშკების აგება.

რუსების ძიერ კავკასიის დაპყრობის საქმეში სოფელ შატილის მცხოვრებლებსაც მიუღიათ აქტიური მონაწილეობა შამილის რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც მეფის მოადგილის მიერ მიცემული აქვს სოფელ შატილის მცხოვრიბლებს თლილი ქვა შემდეგი წარწერით

ამავე სოფლის მცხოვრებს, ძოხუც ხევსურს თოთია ქინჭარაულს აღმოაჩნდა სიგელი მიცემული ერეკლე მეფის-ძის ბატონიშვილის ალექსანდრეს მიერ მისივე ბეჭდით დამტკიცებული. ეს დოკუმენტი იმ დროისაა, როდესაც რუსის თვითმპყრობელური ჯარი იპყრობდა საქართველოს და ალექსანდრე იმალებოდა ხევსურეთში.

### „ანატორა“

სოფელ შატირიდან 2—3 ვერსის დაშორებით, მდინარე არღუნით. არის დიდი აკლდამები, რომელსაც ეწოდება „ანატორა“. ამ ჟამადაც ამ აკლდამას დატანებული აქვს პატარა ფანჯარა, რომლის საშუალებით ხედავთ აკლდამაში ადამიანის მრავალ ნეშტებს.

ეს აკლდამა ყოფილა იმ დროის, როდესაც გაჩენილი ყოფილა გადამდები ავადმყოფობა „ჟამი“

ამ აკლდამაში ფანჯრიდან ეხლაცა სჩანს აკვნები და სხვა ნივთები. ეს იმის ნიშანია რომ ავადმყოფ ბავშვს აკვანით შეაგდებდენ აკლდამაში და იქ კვდებოდა. ან ავადმყოფი დედა, ძუძუმწოვარა ბავშვით. თავის ფეხით მიდიოდა აკლდამაში სულის დასალევად. საერთოდ ამ აკლდამაში თავისი ფეხით შედიოდა ყველა ის. ვისაც ეჩხდებოდა ავადმყოფობა „ჟამი“ ამ აკლდამაში სხვა მრავალ ჩონჩხებთან ერთად. შესანიშნავია ერთი მამაკაცის ჩონჩხი, რომელიც ოდნავ მოღუნული სდგას ზეზე. მას შერჩენილი აქვს შეხმარი კანი.

როგორც ადგილობრივად გადმოცემაა დარჩენილი. ამ აკლდამის პირდაპირ, სადაც ეხლაც სჩანს ნანგრევები, ყოფილა სოფელი, სახელწოდებით „ანატორა“, რომლის მოსახლეობა ამოწყვეტილა „ჟამით“.

ამავე გადმოცემით ანატორას მოსახლეობა სულ დახოცილა, გარდა ერთ ბავშვისა. რომელიც გადასულა კახეთში. ეს ბავშვი შემდეგ წაუყვანიათ ტყვედ ქისტებს, მხოლოდ როდესაც ქისტებს დასცემიან თუშები. წაუყვანიათ საქონელი და სხვათა შორის მოუტაცნიათ ეს ბავშვიც—შატილის მცხოვრებლები ლუდისავით სვილის სასყიდლათ გადასულან თუშეთში და გაუგიათ ხევსურ-ბავშის იქ ყოფნა გამოუკითხნიათ და ამ ბავშს უთქვამს. რომ იგი იმ სოფლიდან არის. სადაც მზე დღეში ორჯერ ამოდისო. შატილიონელები მიმხვდარან. რომ ბავშვი ამოწყვეტილ სოფელ ანატორას მცხოვრებია და თან წამოუყვანიათ. ამ ჟამად სოფელ შატილში არის ხუთი კომლი მოსახლე „ანატორელების“ გვარით, იმ ბავშვის ჩამომავლობა

### ფ უ ლ ი:

ხევსურეთში ფულის ანგარიში სულ არ იციან. ფულის ანგარიში სწარმოებს ოთხფეხ საქონელზე. მაგალითად: ძროხა ადგილობრივ შეფასებულია ხუთ მანეთად. ამდენშივე ვერცხლის ხანჯალი და სხვა, რომ ერთმანეთს შეევაჭრონ რამეს იტყვიან: ღირს ამდენი ძროხა, ერთი, სიტყვით გასასყიდი ნივთი რამდენი ძროხაც ეღირება 5 მანეთის კვალობაზე.

### ხ ა ტ ო ბ ა

ხევსურეთში ძალიან ბევრი დღესასწაულებია, „ხატობა“. ყველა კარგი სახნავი მიწები ჩათვლილია ხატის მიწად, რომლებსაც ამუშავებენ სოფლურად. მოჰყავთ ქერი და სვილა. ასეთ მიწების მოსავლიდან ხდიან ლუდს და არაყს და იხდიან ხატობას. აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ მიუხედავათ იმსა, რომ თვით მოსახლეობას სახნავი მიწები ძალან მცრე აქვთ, საუკეთესო მიწები მიჩენილია ხატობისათვის.



მოსკოვში, მოკლე ხანში დაიწყება პროცესი თვითმპყრობელობის დროის ჯალათების. რომელნიც თავის საკუთარის ხელით აღრჩობდენ რევოლიუციონერებს. ვათავსებთ სამი ჯალათის სურათს: 1 მთავარი ჯალათი ჟაბინი. 2. ჩამოღრჩობათა ორგანიზატორი ჩუგუნოვი, 3. ჯალათი ფროლოვი

## დეკანოზები

დეკანოზობა ხევსურეთში ძალიან ხელსაყრელი ხელობაა. ხევსურეთში ვინც გახდება ავად, პატრონებმა უეჭველად ექიმის მაგივრად (იმიტომ რომ არ არის) უნდა მიიწვიოს დეკანოზი; უკანასკნელი გასინჯავს ავადმყოფს და ეტყვის უეჭველად, რომ ავადმყოფი დაავადებულია ამა და ამ ხატის მიზეზით, ურჩევს დაუკლას ხატს საკლავი (ძროხა, ხარი, ან ცხვარი) რაც ავადმყოფის პატრონი უეჭველად უსიტყვოდ ასრულებს, მაგრამ ეს ავადმყოფს ვერ შველის და ხშირად კვდება.

სამაგიეროდ დეკანოზს რჩება დაკლულ საქონლის ტყავი და თავ-ფეხი. საერთოდ უნდა ითქვას რომ ხევსურეთის დეკანოზები ძალიან მდიდრები არიან.—სოფელ შატილში არის ერთი დეკანოზი, რომელსაც სახლში ალაგი აღარა აქვს სად დასტიოს საქონლის ტყავები. ამ რიგად სხვისი ქონებით მდიდრდება ერთი კაცი და ეს იმიტომ, რომ ხევსურეთში დღემდე თითქმის ადამიანის პირველყოფითი მდგომარეობაა დეკანოზობის ირგვლივ აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელსაც ჰქონია ადგილი ა. წ. ივნისის თვეში: სოფელ შატილში ყოფილა ხატობა „ამაღლება“, საღამო ხანს, როდესაც კარგად აგრილებული ყოფილა, სოფელ შატილის მცხოვრებელი მგელა ჭინჭრაული უეცრად გამოვარდნილა ხალხიდან, ჩავარდნილა წყალში, რომელიც მაშინ დიდი და ამღვრეული ყოფილა, ჩაწოლილა შიგ, ხან გულ აღმა, ხან პირქვე გაჰყოლია წყლის მიმდინარეობას ქვევით ერთი ვერსის მანძილით, შემდეგ გამოსულა, დაბრუნებულა ხატებთან მუხლის მოყრით და რამდენჯერმე უმთხვევია კედლებისათვის. მლოცველი ხალხი ბევრი ჰხვეწნებია დაელივა ლუდი, ან არაყი, მაგრამ მას უარი განუცხადებია; შემდეგ ისევ გაბრუნებულა და ჩაწოლილა წყალში. ხალხში დაწყებულა მითქმა-მოთქმა, რომ ეგ უსათუოდ ღვთის დაქერილი არისო, ამ ხატს დეკანოზი არ ჰყავს და ეგ დეკანოზათ უნდა დააყენოსო, რადგან მაგის მამა დეკანოზი იყო, მოკვდა და ეხლა ღმერთი დეკანოზობას შვილს აძლევსო.

მიუგზავნიათ მოხუცებული ხალხი, რომლებიც მისულან მასთან მუხლმოდრეკით შემდეგი მისალმებით: „სალამი ბატონის ყმას, გაუმარჯოს, რას გიბრძანებს ბატონი?“ მგელა ჭინჭარაულს უპასუხნია: „ბატონის ბრძანებით ჩვენი სოფლის ყმაწვილებმა გიგიამ, საყურამ და სალირამ უნდა ღამით უთიონ ამ ხატებს, ლუდის მოხარშვით და ყველამ სათითაოდ საკლავის დაკვლით“. ამ რიგად მგელა ჭინჭარაულს ასეთი მახინაციებით დარჩა დეკანოზობა და ის ეხლა დიდი კაცია.

გარდა ამისა ხევსურეთში დარჩენილია სხვა ამ გვარი ძველი ჩვეულებები, მაგრამ ყველას ჩამოწერა და დახსომება—ძნელია, რომელი ჩვეულებებიც, აგებული ცრუმორწმუნეობაზე, ხალხში კულტურის შეტანას ხელს უშლის და დიდათ აფერხებს ხევსურების ცხოვრების წინსვლას.

დასასრულს, ხევსურეთის ცხოვრების და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რასაც მიქცეული აქვს მთავრობის მიერ ყურადღება (იხილე სრულიად საქართველოს საბჭოთა დეპუტატების მესამე ყრილობის დადგენილებანი) და აგრეთვე დუშეთის სამაზრო აღმასკომის პლენუმის დადგენილება 3 ნოემბრიდან, რომელიც ეხება ხევსურეთში გზების გაყვანას, სკოლებს და საექიმო პუნქტების გახსნას და სხვას, მხოლოდ ყველა ეს დღემდე სისრულეში მოყვანილი არ არის. საჭიროა საქმით მიექცეს ამ კუთხეს ყურადღება, რათაც არ უნდა დაჯდეს, თუ ჩვენ გვსურს გამოვიყვანოთ ხევსურეთის მოსახლეობა იმ სიბნელიდან, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება. უმთავრესად—უპირველესად გაყვანილ უნდა იქნას გზები, რომელიც არის მთავარი მიზეზი ხევსურეთისადმი მიუდგომლობისა, შემდეგ ამას თან უნდა მოჰყვეს, თუ ჯერ ბევრგან არა, თითო თემში თითო სკოლის—პანსიონით გახსნა, საექიმო პუნქტების—სამშობიარო განყოფილებით დაარსება. სალიკვიდაციო სკოლები და სხვა. მხოლოდ ასეთი ღონისძიებით შეგვიძლიან ხევსურეთი მუდმივ სიბნელეს გადავარჩინოთ.

მ. სუჯაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი ესენინი

# საბჭოთა რუსეთი

გრიგალი ჩადგა. ცოტა გადავრჩით.
მეგობართ შორის ბევრი გვაკლია.
დავბრუნდი ისევ ობოლ მხარეში,
სად არ ვყოფილვარ რვა წელიწადი.
ვის დაუძახო? ვის უთხრა სევდით,
რომ მე გადავრჩი და ცოცხალი ვარ.
აქ წისქვილიც კი, როგორც ფრინველი
ფრთა შეკვეცილი, არის მდუმარე.
მე ყველასთვის უცნობი გავხდი.
ვინც კი მიცნობდა, მათ დავავიწყდი.
და სადაც იყო კერა მამისა,
ახლა ნაცარი და მტვერი არის.
ცხოვრება კი დუღს! ჩემს ირგვლივ სჩანან
ახალგაზრდები და მოხუცები.
ვის მივესალმო მე თავის დაკვრით?
ვერვის თვალებში, ვერ ვამჩნევ ძახილს.
ფიქრები სწრაფად გამოიელვებენ.
სამშობლო, ნუ თუ ეს სიზმარია?
აქ ყველასათვის ვარ პილიგრიმი,
თითქოს მოსული შორი ქვეყნიდან.
ვარ მოქალაქე მე ამ სოფლისა,
რომელიც სახელს იმით გაითქვამს,
რომ აქ ეყოლა საწყალ დედაკაცს
ერთი ავარა რუსი პოეტი.
და აზრი, მაინც გულს ეუბნება:
გონს მოდი! ტყვილად ნუ დარდიანობ,
ეს ხომ ახალი აინთო შუქი,
სულ სხვა თაობა დღეს იბადება.
უკვე დაგიდგა დაჭკნობის ხანა,
სხვა ჭაბუკები ჰქმნიან სიმღერებს.
ტრფიალი მათი არის უსაზღვრო,
მათი სამშობლო არის მსოფლიო.
სამშობლო! გავხდი მე სასაცილო,
აღარ ბრწყინავენ ჩემი ლოყები.
მოქალაქეთა არ მესმის ენა,
მე ჩემს მხარეში ვარ უცხოელი.
მე ვხედავ: კვირას ჩემი სოფლელნი
იკრიბებიან, როგორც საყდარში.
და დაკოჟრებულ მაგარ სიტყვებით
თავის ყოფაზე მსჯელობენ დინჯათ.
არის საღამო. მცირე ოქროთი
მორწყა დაისმა რუხი მინდვრები.
ვერცხლის ვერხვებმა ხზოების მსგავსად
დამალეს თხრილში შიშველნი ფეხნი.
და ჯარისკაცი კოჭლი, პირქუში
იგონებს წარსულს და ბუდიონის.
ის ლაპარაკობს: წითლებმა როგორ
მტერს ჩამოართვეს კვლავ პერეკოპი.
ჩვენ მას ვებრძოდით ისე და ასე,
ბურჟუას, იყო ყირიმში საქმე!
ჩუმად შრიალებს ფოთოლი ტოტზე,
ჩუმად ოხრავენ დედაკაცები.
და კომსომოლი სერიდან მოდის.
უკრავენ გარმონს გაშმაგებულად.
დემიან ბედნის ლექსებს მღერიან,
და აყრუებენ ბარს ხმაურობით.
აი ქვეყანა! მაშ რად ვყვიროდი,
რომ მე ხალხისა ვარ მეგობარი?
ჩემი ლექსები აქ ზედმეტია,
და მე თვითონაც არ ვარ საჭირო!
მშვიდობით ჩემო სამშობლო მხარე!
თუ გემსახურე რამეთი—კარგი!
თუ შენ არ მღერი ახლა ჩემს ლექსებს,
გიმღერდი, როცა სნეული იყავ!
ვიღებ ყველაფერს, ისე, ვით არის,
ვიხეტიალებ ჩვეული გზებით.
გულს მივცემ მაისს და თვით ოქტომბერს,
მაგრამ არ მივცემ საყვარელ ჩანგსა.
მას არ დაუთმობ მე უცხო ხელებს,
არც დედას, არც ცოლს და, არც მეგობარს.
ჩანგი მანდობდა უნაზეს ჰიმნებს,
თავის სიმღერებს მე მიმღეროდა.
თქვენ, ჭაბუკებო, იზარდეთ ახლა!
თქვენი სიმღერა და ყოფა სხვაა.
მე წავალ უცნობ საზღვრებისაკენ.
და ამბოხებულ სულს დავადუმებ.
მაშინაც, როცა მთელ პლანეტაზე
აღარ იქნება მტრობა ერების,
და ბოროტება განადგურდება,
ვადიდებ, მაინც დაუღალავად
პოეტის მთელი წრფელი არსებით
მე დედამიწის მეექვსედ ნაწილს,
რომლის სახელი არის რუსეთი!

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

# საიდუმლო სტამბები და 1905 წლის რევოლიუცია

**(მოგონება 1-ლი რევოლიუციიდან)**

1905 წლის რევოლიუციის დროს საიდუმლო სტამბებს ერთი მნიშვნელოვანი ადგილთაგანი ეჭირა. უმთავრესად საიდუმლო სტამბების განვითარება იწყება 1900 წლიდან, რომლების საშუალებითაც რევოლიუციონური მოძრაობის ყოველი გამოძახილი ამ სტამბებში იბეჭდებოდა პროკლამაციების სახით და მოწინავე ნაწილი მუშებისა ამ ფურცლებს ავრცელებდნენ ფაბრიკა-ქარხნებში. ლეგალურ სტამბებში იმ დროს ძნელი იყო ასეთი ფურცლების დაბეჭდვა, მხოლოდ აქა-იქ თუ ვინმე მოახერხებდა ასეთი რისკის გაწევას. ხანგამოშვებით და ისიც დიდი სიფრთხილით.

რაც შეეხება არალეგალური სტამბების ტეხნიკურად მოწყობას, ეს სრულიად ეკისრებოდა მოწინავე ამხანაგებს, რომლებიც იმ დროს დიდ სტამბებში მუშაობდენ და აგრეთვე კავშირიც ჰქონდათ საიდუმლო სტამბებში მომუშავე ამხანაგებთანაც. პირველ ხანებში ზემოხსენებულ ლეგალურ სტამბების საშუალბით ივსებოდა საიდუმლო სტამბები, როგორც საბეჭდი პატარა მანქანები (უმთავრესად „ამერიკანკა“), ისე ქართული, რუსული და სომხური ასოებიც, ნაწილ-ნაწილად, მაგრამ ფუთობით ნელ-ნელა გადადიოდა ხაზეინების სტამბებიდან საიდუმლო სტამბებში, აგრეთვე ყველა ის მასალები, რომლებიც საჭირო იყო საიდუმლო სტამბების შესავსებათ. მარზანები, შპონები, კვადრატები, სალებავი, სალებავის წასაცხები, ვერსტატკები, ლინეიკები, სათაურისთვის ასოები, გრანკები და სხვ.

რაც შეეხება ასოების ჩასაყრელ უჯრედებს, ეს უმთავრესად მზადდებოდა საიმედო დურგალი ამხანაგების საშუალებით, როგორც ძმები მიხა და ზაქარია ჩოდრიშვილები იყვენ.

საიდუმლო სტამბები რევოლიუციის განვითარებასთან ერთად იზრდებოდნენ და ვითარდებოდნენ. პირველი ასეთი სტამბა თბილისში დაარსდა 1903 წელს ნაძალადევში ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით, გიგო ლელაშვილის ბინაზე. ამ სტამბაში მუშაობდენ ამხ. ვანო ბოლქვაძე, ლადო დუმბაძე და მე. აქ იბეჭდებოდა სხვა და სხვა ფურცლები და ვრცელდებოდა ტფილისის მუშებში. სტამბა იყო მოთავსებული გ. ლელაშვილის ბინაზე და მისთვის აშენებული იყო პატარა ერთსართულიანი სახლი ერთი ოთახით. ეს ოთახი წარმოადგენდა სტამბაში მომუშავეთა ბინას, სადაც იდგა ორი კუშეტკა დასაძინებლად. კუშეტკის ფეხები სწორედ სტამბაში ჩასავალ ხუფზე იდგა, რომელსაც ავაღებდით და ჩავდიოდით ქვეშ ამოშენებულ სარდაფში, რომელში მუშაობის დროს ხუფი იკეტებოდა სრულიად ყრუდ („ნაგლუხო“) და ისე მიმდინარეობდა მუშაობა მბჟუტავი სანთლების საშუალებით. ზემოთ ხუფი იხურებოდა ისე, რომ პოლიციას მიეგნო სახლისთვის, სტამბის აღმოჩენა მას გაუძნელდებოდა, რადგან სტამბაში ამ ხუფიდან ჩასვლის შემდეგ არავითარი ნიშანი გზისა არა სჩანდა, ვინაიდან ყოველი მოხაზულობა საგანგებოდ მომზადებული იატაკის სალებავის მგზავსი სურგუჩის წასმით იშლებოდა.

ასე რომ სარდაფში მუშაობა მეტად ძნელი და აუტანელი იყო, ამას თუ მიუმატებთ აგრეთვე სტამბის სალებავის დახუთულ ჰაერს სანთლის შუქთან ერთად, ყველა ადვილად წარმოიდგენს, თუ რა პირობებში გვიხდებოდა მუშაობა ნაძალადევის საიდუმლო სტამბაში.

ამ სტამბამ, როგორც მახსოვს, იარსება რამდენიმე თვე, რომლის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა რევოლიუციის გაღრმავების საჭიროების საქმეებს. მე რამდენიმე ხნის აქ მუშაობის შემდეგ თბილისის სოც.-დემ. ორგანიზაციის მიერ გავემგზავრე 1903 წლის ბოლოში ბაქოს ორგანიზაციის საიდუმლო სტამბაში სამუშაოდ, სადაც დავყავი ორ წელზე მეტი.

როგორც შემდეგ გავიგე, ნაძალადევის სტამბის შენობა მთიდან მოვარდნილ ნიაღვარს გაენადგურებია ყველაფერი, რაც იქ იყო სტამბისთვის მომარაგებული, გადაურჩა რა ჟანდარმების მიერ განადგურებას, სტიქიამ ჩანთქა...

უ. ჯაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია ერევანში.



მომხსენებლები ცაკის სესიაზე:
ცენტრში: ამხ. მამია ორახელაშვილი.
ზევით: ამხ. ამხ ამბარცუმიანი, ჰუსეინოვი, ლუკაშინი.
ქვევით: ამხ. ამხ ხანოიანი, შავერდოვი, გეგეჭკორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორისტული განყოფილება

## ჩემს თანამშრომლებს

(მოწოდებასავით)

ისე ვარ ბედის ფრთებზე,
როგორც ნაფოტი—წყალზე,
ქვეყნის ცხოვრების სრბოლა
აღებული მაქვს თვალზე.
ხან ვირქმევ „ნიანგს“ და ხან
მაქვს დაგებული „მახე“,
მაგრამ უცვლელი რჩება
ჩემი გული და სახე.
ბოროტი ხალხი ქვეყნად
ბევრია, ერთობ ბევრი,
არ ვარ „გუდაში ფქვილი“,
არც ცალიერი ქვევრი.
მაბია თავი მხრებზე,
მაქვს გამართული ქედი,
თუმც ცოტა თავში მიქრის
და ვარ ზომაზე ყბედი.
რასაც ეს თვალი ხედავს,
ან, რასაც ვიღებ ყურად,
მასზე მე ჩემს აზრს ვადგენ
და ვმსჯელობ ჩემებურად.
ზოგს მოსწონს იგი, ზოგს არ,
მაგრამ მე არ ვარ ბრალში,
ხალხი და ეს ქვეყანა
ბუზათ არ მიჩანს თვალში!
ვსწერ სახუმარო ლექსებს
და თავს ვაბეზრებ ყველას,
ვერ ავუთავდი, ვერა
გონორარების „წველას“!..
და მე რომ ჯიბეს ვიტენ,
სხვა რჩება ხახა-მშრალი,
ხომ „მარტოხელა კაცი
ჭამაშიც არის ბრალი“!
ვუყივი თანამშრომლებს,
ყველა ყრუ არის, ყველა,
ნუთუ მოგბეზრდათ, ხალხო,
თქვენც გონორარის „წველა“?!
წაველა, შენ სადა ხარ,
ან შენ შხანკოლა სადა?
მოდით თქვენც დამეხმარეთ,
თორემ გამიტკბა ქადა.
პარმენ ობოლის აშბავს
მე ველარ მივხდი, ვკვირობ.
ზღვის პირის თევზი ხარ თუ,
ძმაო, რად ენა-ძვირობ?!
ჯანსულლ სად ხარ, ან უტუ,
ან, მაისელო, შენ სად?
გამოჩნდით ფულს ვარიგებ
მუქთად და არა სესხად.
მაშხალა სად აფეთქდა,
ან შალვა „ლდე გულაეტ“,
ან კუდა-მელას ხვრელი
იქნებ შენ იცი, აეტ?!.
დიტონს, ფხუს, ანელს ვეძებ
და არც არსად სჩანს გოცი,
დეკემბრის აქეთ ველი,
არის იანვრის ოცი.
სად ხართ, სად იკარგებით!
მოდით, მომეცით მხარი:
გზავნეთ ნაჩხრეკი თქვენი,
მიიღეთ გონორარი!..
დამბლად დაგეცათ, თუ რა?
რაა, რა დაგემართათ?
გაზეთი „კომუნისტი“
არ გყოფნით მისაძართათ?!.
მაშ, რაღამ დაგამუნჯათ?
მოდით, მომეცით მხარი:
ან რისხვა ჩემი და ან
მადლი და გონორარი!..

ნიანგი.

## კუდა-კუდა არაკები

### არაკი პირველი

### ტენტერ ჩუტაძე

(პირადი შთაბეჭდილებებიდან)

მოტენტერდება დილით ტენტერი
უამრავ ჩუტე აზრებით თავში,
სიტყვებს სტკვერს ისე, როგორც კრენდელი,
ამოღველული პორთფელით მკლავში.
დაივლის თავის „უჩრეჟდენიას“,
ბუჰგალტერიას აფასებს დიდათ,
და მემანქანე მხევალს—ჟენიას
უახლოვდება ნელა და მშვიდათ...
დააკვირდება მის მუშაობას
და შემდეგ შემდეგ ანიშნებს თითით
(რა ეშველება ამ უთაობას?!..):
„თქვენ ეს ქაღალდი გადასდეთ იქით!
ღამით მე სახლში გადავიფიქრე
და აწ სხვა ტექსტით შეგიდგენთ დედანს!..
და მიდის ტენტერ ისევ და იქვე,
სადაც ზის მუდამ და ფიქრებს პენტავს...
(თვის თავს მოლარე წარუდგენ „ციფრებს“...
ფულებს ტენტერი კაიძალს ჰხვეტავს!..)
„პენტავს“ და „ჰხვეტავს“.. ადგენს ქაღალდებს...
მოხსენებები!.. მოხსენებები!..
დასდებს... აიღებს... აიღებს... დასდებს...
ელლება ხელი... ელლება ყბები...
მიდის ჩუტაძე მჩუტედ, თან მძიმედ,
მიაქვს, რაც დილით აქ მოიტანა...
სიდგანღაც ისმის იხვის კივკივი,
სჩანს, დასკლავი გალესეს დანა!..
რამდენი სისხლი იღვრება ქვეყნად!..
რაძდენიც ისევ ძარღვში ფუჭდება!..
ყურს უჭედს ყველას ტენტერის ჰვეხნა
და გულს უწყალესპ, როცა ყუჩდება!..

**ლვაჭია და კვაჭია.**

მშიშრები, როგორც კურდღლის ბაჭია,
ჩუტაძეს ჩუტვენ ლვიჭი-კვაჭია.
ორივ ერთმანეთს ეხმატკბილება:
ეს „ჯაყო“ და ის—ნამდვილ „კვაჭია“!
ჩუტაძე, აბა, რითი ჰგავს მარგოს,
თუმც ორივესთვის დიდია სარგო?
მაინც ლვაჭია აქ მთავარია,
ჩუტაძე—ტიკში თავი რომ ჩარგო!..
რაც შეეხება შემდეგ კვაჭიას,
იგი მეტად ჰგავს კურდღლის ბაჭიას,
და რომ ჩუტაძე, უფრო დაჩუტოს,
გამობმული ჰყავს კუდში ლვაჭიას!..

**„არადან“ გამომდინრე „კი“:**

ეს „კომპანია“ კამპანიაში
რომ იმყოფება აქ გვარიანში,
ამის უჭვო რწმენაა ჩემში
ისე, ვით ყველა ადამიანში!..
(წაბორძიკება, მათი ძნელია,
თუ არა წვიმასა და ქამიანში!..)

მოიგავ-არაკე,

# თეთრი კბილი. შავი გული.

სდებენ-რა ურთიერთ შორის სხვადასხვა ხელშეკრულებას, სხვადასხვა შეთანხმებებს, ევროპის სახელმწიფოები, იმავე დროს ეძებენ საშუალებებს ერთი-მეორის დასახრჩობად.

(სერგო ორჯონიკიძის მოხსენებიდან).






ერთი ამათ უყურეთ,
ნილაბებში ხვდებიან;
ერთი ლიგის სკამებზე
მიდიან და სხდებიან:
მინისტრები ერთმანეთს
ძმობას ეფიცებიან,
და ფიქრობენ მარჯვე დროს
როდის დაეცემიან!
გეგონება მათგანი
მართლაც ყველა კაცია;
ინგლისელი ენა-ბლუ
ინტრიგაში ვაცია:
რომ გაუშვას მორიგი
მახე პროვოკაცია!
საფრანგეთი ჩამორჩეს?—
მაშ არ იყოს ნაცია!

მსუქან ძუძუს გაუხვრეტს,
გარედ ჩაუსაფრდება;
თვითეული ორმოს სთხრის,
შიგ კი ვინ ჩავარდება?!
მათი ოინბაზობის
საბჭო არის ამწონი;
ქვას ქოთანი ეჯახოს
ყაყლმა ჭამოს ძაღლი!..

ან ვინ რომელს აჯობებს?
დასძლევს შურის გებაში?
ვერც ერთი ვერ გადარჩეს
ლოკარნოს მოგებაში!

ეპილოგი რა ვნახე?—
ხელებს სისხლში აწებენ!






მალე სახრჩობელაზე
ერთმანეთსაც ასწევენ!

ფიდო ლამია.

სირიაში ინგლისმა
საფრანგეთი ასწია;
თურმე ხვევნა-ალერსი
არის დეკორაცია!
საფრანგეთიც ინდოეთს
შორით მოეპარება;
აჯანყებას მოუწყობს
ჩუმად დაეხმარება;

# იურიდიული საკითხები

ეს განყოფილება ჩვენ შეგვაქვს ჩვენს ჟურნალში იმ მოსაზრებით, რომ დახმარება გაუწიოთ იმ პირთ, რომელნიც საჭიროებენ იურიდიულ რჩევა-დარიგებებსა და ასეთისათვის მიმართავენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

არავინ იფიქროს, რომ ჩვენ არა-მკითხე „მეცამეტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავით“ ვეჩრებოდეთ სხვის საქმეში. არა, ჩვენ გვამოძრავებს ყოვლად პატიოსანი და წრფელი განზრახვა ასეთი „თავსამტვრევი“ საკითხების გარკვევისა.

შეიძლება ვინმემ ისიც გვიკიჟინოს, რომ ჩვენ ამ საკითხებს ვეძახით „თავსამტვრევს“ და ასეთი ეპიტეტი გადაჭარბებულათ ეჩვენოს.

სრულიადაც არა. და რომ ეს ასე არაა, ამაში მკითხველი მალე თვითვე დარწმუნდება.

ამიტომ ჩვენ ვისწრაფით და გადავდივართ თვითონ საკითხებზე.

ხელს ვადებთ გაზეთის პირველსავე ხელში მოხვედრილს ნომერს, (გაზ. კომუნისტი“ № 5 (1460), სადაც ვკითხულობთ **ირაკლი მაღრაძის** შეკითხვას:

„მე ვცხოვრობ შორაპნის მაზრაში, ს. ლეღვანში, კანონიერის ნორმით მოზომილ მიწაზე, რომელსაც ძირში ჩამოუდის მდ. „ლეღვნელა“. აი, ამ “ლეღვნელა“-ზე ჩემს სოფლელებს ჩემდა დაუკითხავათ ჩემსავე ეზოში გაუჭრიათ არხი და ზედ მოუწყვიათ წისქვილი, რომლის თხრილში მომდინარე წყალი ემუქრება ნალეკით ჩემი გაჭივრებულ მეზობლების, გრიგოლ და გიორგი შარიქაძეების ეზოს. გთხოვთ განმიმარტოთ, ჰქონდათ, თუ არა უფლება მათ, რომელთაც მშვენიერი საკუთარი საწისქვილე ადგილები და წისქვილებიც ბლომათ აქვთ, ესარგებლნათ ჩემი ადგილით“-ო.

იურიდიული მოპასუხე იღებს ამ შეკითხვას და აძლევს ზედ პასუხს, რაც შეიძლება, სრულსა და ყოველმხრივს.

მაგრამ, ამისდა მიუხედავათ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხს მაინც ეჭირვება რამოდენიმეთ მაინც გარკვევა.

აი, აქ იწყება ჩვენი მისსიაც.

ჯერ ერთი, რომ, არ ვიცით, რა მიზეზით, შემკითხველს, ე. ი. ირაკლი მაღრაძეს ემჩნევა საქმეში დიდი აუჩქარებლობა. თორემ რასა ჰგავს ეს? არხი გაუჭრიათ, ზედ წისქვილიც აუგიათ და მაღრაძე, მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს გაზეთს შეკითხვით.

რაშია საქმე?

საინტერესოა ვიცოდეთ, აქ დამნაშავეა უბრალო გლეხური დაუდევრობა, რაიმე და ისიც გლეხური საიდუმლო განზრახვა, თუ უბრალო ტოპოგრაფიული მიზეზი?

ჩვენ გვგონია, რომ უკანასკნელი მიზეზი თამაშობს უმთავრეს როლს. აი, როგორ აგვიწერს თვითონ ირაკლი მაღრაძე ამ გარემოებას:

„წყალდიდობის დროს წყალი სწვდება ამ ფერდობს და ყველაფერს ანგრევს და ანადგურებს. ამის გამო აქ ხეებიც კი გავაშენე, რათა ადგილი დამეფარა წყალისაგანო“.

ცხადია, თუ ასეთი მრისხანეა „ლეღვნელა“ წყალდიდობის დროს, დამშვიდებული ის იმდენათ ხმიანი მაინც იქნება, რომ ხუთ-ექვს თვის გამუდმებული შრომა, რომელიც, ჩვენის ფიქრით, აუცილებელი იყო წისქვილის ასაგებათ, სრულიად შეუმჩნეველი გაეხადა გლეხის ყურისათვის. მუშაობის ხმას უეჭველად დაჰფარავდა მთის მდინარის გიჟი შხუილი. აქ, როგორც ხედავთ, საქმეში ერევა სტიქია, რომელი გარემოებაც, ჩვენის აზრით, ამსუბუქებს დანაშაულს. ხოლო ეს კი მხედველობიდან გამოჰპარვია პასუხის მიმცემს.

ჩვენ არ ვიცით, რას იტყვის აღნიშნული საკითხის შესახებ, თვითონ ბრალდებული, ე. ი., სოფლის მცხოვრებნი, რომელნიც, თუ ირაკლი მაღრაძეს დაუჯერებთ, დიდათ გამომკიდენი ყოფილან ისეთი ფუფუნების საგნისა, როგორიც არის წისქვილი. თორემ, თუ ბევრს მათგანს, მშვენიერს საწისქვილეებთან ერთად, უკვე მზამზარეული წისქვილებიც ბლომათ მოეპოვებათ, რაღა ირაკლი მაღრაძის ეზო შეესოთ თვალში? ან რა საჭიროა ერთ სოფელში ამდენი წისქვილი?

აქ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებაც.

როგორც ვიცით, შორაპნის მაზრა საერთოდ ხორბლეულობის ნაკლებობით არის ცნობილი. ცხადია, გლეხებს ჰგონებიათ, რომ ხორბლეულობის ნაკლულობას წისქვილების სიმცირესთან უნდა ჰქონდეს რაიმე კავშირიო. აულიათ და წისქვილების მომრავლება უწყიათ სოფლად.

ამ შემთხვევაში ირაკლი მაღრაძე შემთხვევით დაზარალებულათ უნდა ჩაითვალოს, რადგან, როცა გლეხები შეხედავენ (და იმავე დროს უეჭველად დაინახავენ კიდეც), რომ წისქვილების მომრავლება მათ ხორბლეულს ვერ გაუმრავლებს, ცხადია, ისინი თავისთავად მიატოვებენ ასეთ უაზრო საქმეს და მაშინ თავისთავადვე განთავისუფლდება ირაკლი მაღრაძის ეზო, როგორც გლეხების უაზრო შრომისა, ისე მომაბეზრებელი წისქვილისაგანაც.

იურიკ.

# „ფორმის“ აპოლოგეტს პროლეტარულ პოეზიაში

გადაირ გადიდას, განცდით გადაირევი,
და არეულ არიებს გამღერინებს ქარები..
შენ, რომ შედევრს ეძახი, არის ნაცოდვილევი!..
მე ფეხებზე მკიდია „ლექსის მეტიჩარები“!..
პროლეტარულ პოეტეს პროტით ეპოტინები,
არა გშვენის ეგ საქმე, ან რად არა გრცხვენია?!.
შენ, რომ გხიბლავს, ისეთი ტვინის ნაღიტინევი
მე ფეხების საწმენდათ ბევრჯელ გამიფენია...
კირკანტული კრიტიკის კირკიტ-კრიტიკანობა
ულოღიკო მსჯელობით შედევრი ნუ გგონია,
აფრაკებში მოშლილებს შვენის აფრიკანობა...
„დუმ-დაირა დაირა“ ჩემი მონგონია..
ამანდარა მანდ არა მადნეული მანდია?!.
გაბაშვილით ბესიკობს აგი ლექსის მუსიკა,
ალმოჩენის სფეროში ეს რა დიდი მადლია?
რომ არსებობს, გავიდა საუკუნე, მას უკან...
მანდარინას დაირის დაკვრა ავდარეული
შენ ახლი გგონია, ფორმით გადაჩეხილი,
მხოლოდ უაზრობაა ბგერებში არეული,
არაფრის თქმით მყვირალი, როგორც თავ-გატეხილი!..
გადაირ გადიდას, განცდით გადაირევი,
მაგრამ ოჩემჩირიდან ზუგდიდის გზა იწყება!..
ბესიკური მუსიკის არ მწამს ნაცოდვილევი
და არც ვარგა ფორმებში აზრის გადავიწყება!..
პროლეტარულ პოეტებს პროტით ეპოტინები,
არა გშვენის ეგ საქმე, ან რად არა გრცხვენია?!.
შენ, რომ ჰკინძავ, ისეთი ტვინის ნაღიტინები
მე ფეხების საწმენდათ ბევრჯელ გამიფენია!..

ლოღიკა.

# იუბილიარი

ანთიმოსას ისე შემოელია და დაენატრა ქანქარი, რომ ქუჩაში ნაყარი ქაღალდის ნაკუწები თეთრ აბაზიანებათ ეჩვენებოდა ხოლმე და დასაწვდენად თავს არ ინანიებდა. ყურებ ჩამოყრილი უნაყოფო კვლევა-ძიებით ქუჩაში მითოხარიკებდა და თავში ფიქრები მოუსვენარ ბუზებსავით ერეოდენ.

რა არ გამოსცადა ამ მოკლე ხანში ანთიმოსამ? რა ხელობა არ გამოიცვალა? იყო საქმის მწარმოებლად, მოანგარიშეთ, ფეხზედ მოვაჭრეთ, მნათეთ, მდივნათ, მედავითნეთ, კვლავ მდივნათ, შემდეგ მოლარეთ და აი, აქ მოსწყდა კისერი და ვერა და ვერ იქმნა და ვერ შეაკოწიწ-შეახერხემალა აზროვნების კოლოფის ეს მომტვრეული სოინარი. აგერ ერთი წელიწადი სრულდება, რაც ალაგს დაეძებს და ვერსად ვერ შეჰყო თავისი ჰიგმენტ გამოცლილი, გაჭაღარავებული თავი. ერთხანობად კომისიონერობდა, ოთახებს აქირავებდა, მედიკამენტებით ვაჭრობდა, ავან-ჩავანობდა და არაფრით ფულებს აკეთებდა. ეს ორი თვე კი ფორტუნა ზურგით შეუბრუნდა და თვალზედ მისაკრავ ფარასაც კი ველარ შოულობს.

რა ჰქნას? რა გამონახოს?—ჰფიქრობს ანთიმოსა და თვალებს ძირს აფაციცებს აბაზიანის საპოვნელად. აცა!... ბედმა გაუღიმა: აგერ ხესთან რაღაც მოლაპლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პებს. ანთიმოსმა კისერთან აიჩარა თავისი კუზები და მსწრაფლ ხესთან დაიბადა... ხესთან—ქვაფენილზედ ზედა ტანმხარზედ გადაგდებული უცხო ყმაწვილი ჩამომჯდარიყო, ხელები შუბლზედ მიედო და თავის ახალ, ნარინჯისფერ ფეხსაცმელებს უყურებდა.

— ლენკო! რა მოგსვლია?—შეეკითხა ანთიმოსა.

— მომ... მომკლეს ამ ოხერმა ფეხსაცმელებმა,—ამოჰყეფა ლენკომ ქვემოდამ,—ნიკოს იუბილეს თაობაზედ დავდივარ და ფე... ფეხები დამემტვრა ხეტიალით... დაჯექი,—მიიწვია ლენკომ.

— არა, მე ისევ ფეხზედ დგომას ვარჩევ—მტვერში ამოგანგვლას.

— სა..საშინლად მიჭერს... იოსების იუბილეს შემდეგ ვიყიდე და მას აქ..აქეთ პეტრეს გადუხადეთ იუბილე, შაქროს, ტასოს და მე უფ..უფრო და უფრო მი..მიჭერს.

— შენ სულ იუბილებზედ დადიხარ რაღა?.. ანთიმოსას უცბად ბრწყინვალე აზრმა გაუელვა თავში.

— ლენკო! კაცო, შენ მოხერხებული კაცი ხარ... და რა არის რომ მეც ერთი იუბილე გადამიხადო? ჰა?

— შენ?!—ლენკომ გაკვირვებით აჰხედა ანთიმოსას და ფეხსაცმელს ხელი გადაუსვა.

— ვის არ უმართავთ იუბილეს?! მოდი და ერთი მეც გამიმართეთ, თქვე დალოცვილის შვილებო! შენ შეგიძლია, მაგაზედ ჭიპი მოგიჭრია.. შენ იუბილეს უსტაბაშ ხეირ-ოსტატი ხარ!..

— შენ რამე დაგიწერია?

— რა ბრძანებაა?! მთელი ჩემი სიცოცხლე სულ არა ვწერ?! თვრამეტი წლიდან—ჯერ მესამე უბნის ბოქაულთან ვიყავი მწერლად, მერე საქმის მწარმოებლად, მდივნათ, მოანგარიშეთ, მოლარეთ...

— არა, ჟურნალ-გაზეთებში ხომ არაფერი დაგიბეჭდია?

— როგორ არა, გაზეთებში ვწერდი. პირველად რედაქციის მიმართ დავწერე: ვიღაცას ექურდნა ჩემს მოგვარეს და მე გამოვაცხადე, რომ მე არა ვარ მეთქი. მერე ჩვენი სოფლის ბოსტნებთან ბოგირის გაკეთების შესახებ იყო ჩემი წერილი. სოფლის პატივის გაზიდვის შესახებ და სხვა მაგისთანა ერთი ათი წერილი მაინც მექნება!..

— არა... მოთხრობა, ან ლექსი, ან რომანი ხომ არ დაგიბეჭდია!

— მაგისთანა რომ მქონდეს, შენ კი არ დაგიწყებდი ლაპარაკს?

— ვერაფერი ამბავია!.. მაგრამ არა უშავს რა.. დაგიხატავს რამე, თუ არა?

— ერთხელ ძაღლი დავხატე, ისეთი მშვენიერი იყო, რომ—ჰა!.. ვისაც ვაჩვენე, ყველას თოკი ეგონა...

— ძაღლი და თოკი?!.. მე არაფერი მესმის.. აა! შენ ფუტურისტი ყო ყილხარ!.. ჰო, კარგია. ეხლა, შენ ხომ რაიმე ღირსშესანიშნავი არ აგიშენებია?

— ერთი საქათმე ავაშენე სოფელში და მიწისძვრის დროს ჩაინგრა.

—ჰმ... ოპერა ხომ არ დაგიწერია?

— დამიწერია რა, რომელი კომპოზიტორი მე მნახე?.. 5 აქტიანი „ქაჩალ დარიკო“-ს ოპერის მეტი არაფერი გამოსულა ჩემი ხელიდან, მარა სიმღერა კი ისეთი ვიცი, რომ... „ორი ქოთანი ვიყიდე“-ს ჩემისთანა ბანს ვერავინ იტყვის, გეგონება, დეპოს ქარხნის ბუხარი გუგუნებსო.

— ოო! ეგ კარგია!.. ეხლა მითხარი: რა მონაწილეობა მიგიღია რევოლიუციაში?

— ჯერ კიდევ იაპონიის ომის დროს პატრიოტულ მანიფესტაციებზე ვიძახე „ურა“, ხუთ წელში—ვიძახე „ძირს“, დიდ ომში—ურა, ჩვიდმეტში—„გაუმარჯოს რევოლიუციას“, ცხრამეტში—„გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართმელოს“ და ეხლა—„მზად ვარ“—წარმოსთქვა ანთიმოსამ და ხელი პიონერივით ასწია მაღლა.

— ციხეში ხომ არ იჯექი?

— არა მქონია ბედნიერება.

— ჩეკაში?

— ვიჯმნი ეშმაკისაგან!..

— ჰმ.. არა უშავს რა—საუცხოვოა! რამდენი წლისა ხარ?

— ხუთ ათეულს ორი თითის დადება მიკლია.

— როდის დასწერე პირველი წერილი?

— უჰ!. ეგ წარღვნამდე იყო, როცა იესო ქრისტე იუნკრის სკოლაში სწავლობდა...

—მაშ, იუბილეს გამიმართავ?

— უპირველესად ყოვლისა, საჭიროა მოწოდება შევადგინოთ. მარა აქ ხომ ვერ შევადგენთ, ქვაფენილზედ?.. წავიდეთ, სახალხო სახლთან რომ პახომაა, იქ ჩავძვრეთ და კვარტის გარშემო უფრო კარგად მოვისაზრებთ ხომ იცი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მაგას! მხოლოდ პახომას ხარჯში შენი იუბილეს შემოსავლის ანგარიშიდან უნდა გავუსწორდე...

— დიდის სიამოვნებით... ეხლა წამოდექი შენი სავარძლიდან. უჰ, როგორ ამოგანგლილხარ მტვერში?! გეგონება, ერთი თვე წისქვილში გიმუშავნიაო... ჰბერტყავდა ანთიმოსა ლენკოს...

— ფე..ფეხები დამამტვრია ამ ოოხერმა ფეხსაცმელმა.

---

ორი საათის შემდეგ, ანთიმოსი და ლენკო პახომას რესტორანში, კვარტების საზოგადოებაში, შეჭარხლებულნი მოწოდებას ჰკითხულობდენ:

„რევოლიუციას წინ უძღვოდა გრძელი ხანა წინასწარი მზადებისა, მასის რევოლიუციონურ პოტენციალის დაგროვების საქმეს ეწირებოდა ბევრი სიცოცხლე. მეფის ბატონობის უღლის დამსხვრევამ შთანთქა მრავალი ნიჭით აღსავსე მედგარი ვაჟკაცი. მრავალი იყვენ ბრძოლაში ჩაბმული და გაშმაგებით ებრძოდენ ძველ რეჟიმს ახდილად და ფარულად.

ამ უკანასკნელთა რიცხვში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, თავის მრავალწახნიანი ნიჭის ჩქეფით, პატივცემული იუბილიარი ანთიმოსი, რომელსაც ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში არ გაუგდია კალამი ხელიდან და დაუღალავად ემსახურებოდა საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ მოვლენას. არ დარჩენილა ხელოვნების არც ერთი დარგი, სადაც კი ანთიმოსის მადლიანი ნიჭი შუქურ-ვარსკვლავივით არ აშუქებდეს.. ზედმეტია იმის ჩამოთვლა, თუ რა დაუწერია ანთიმოსს: საქართველოს მშრომელი ხალხი კარგად იცნობს მის ნაწერებს, რომლებიც მრავლადაა გაფანტული ჟურნალ-გაზეთებში. განსაკუთრებულად ცნობილია მისი „წერილი რედაქციის მიმართ“, „ბოგორის გაკეთების შესახებ“,

რაიც წარმოადგენენ ხელოვნების შედევრს. (იხ. ივანე გომართლის ანთიმოსი და მისი შემოქმედება". ტომი მე-20, გვერ. 3150).

— დაიცა—შეაწყვეტინა ლენკოს კითხვა ანთიმოსმა.—რა უნდა დაეწერა—გომართელს?!.

— ნუ მიშლი.. ვანოს ხელობა ეგაა და ქების შეს..შესხმას შენ ვერ ასწავლი... დაასხი, დავლიოთ... ჰო, რაზედ გავჩერდი?.. ჰო. „არქიტექტურაში ანთიმოსმა შეიტანა ახალი სტილი, რომელიც წარმოადგენს იდეალ სილამაზის განსახიერებას... მხოლოდ აქ ბედმა უმტყუნა კაცობრიობას და ეს მშვენიერი შემოქმედება აბობოქრებულ სტიქიონის მსხვერპლად გახდა: მიწისძვრამ—მოსპო მის მიერ აშენებული პალაცო!..

ხატების დარგში ანთიმოსის ნიჭმა განიცადა უკიდურესი მემარცხენე გადახრა-მიდრეკილება, რაც აღნიშნულია იმის ერთ-ერთ დკარგულ სურათში „მონადირე ქალი". დაასხი!.. გაგიმარჯოს, იუბილიარო!.. „არც მუსიკას მოჰკლებია მრავალწახნოვანი, უმადლიანესი [illegible] ანთიმოსისა: ყველას ყურებში გვიდვია მისი 5 აქტიანი ოპერის „ქაჩალ ლარიკოს" ჰანგები..."

— მმაშ, ეეგრე... მაა, შე იუბიი..ლეე... კარგია.. მეე.. და ჩემ..მ.ა ლმეე...ერთმა...

---

— მმ..ართა, შე ოჯახ-ტიალო!.. შეენ.. მე ისეე.. კი ნუ მმიი..ყურებ,—ეუბნებოდა ანთიმოსა თავის ჯერ კიდევ მძინარე ნახევარს,—შენ... მე... ჩემზედ.. გომართელი სწეერს—კრიი..ტიკას.. მააშ... შენ ვიინ გეე..გონე?!

— დაწექი, თვალიც გამოგჭყლეტია. გასკდება და რაღაცეებს ჰბოდავს... სად ჩახეთქე? აქ მენავთე ფულსა თხოულობს და ეს მუცელგასახეთქი კი ლოთობს!..

— დამშვიდდი... ჩეე.მო.. კუკური.. ამ დღეებში მეე იუბილეს გაა..მიმართავენ და მეენა...ვთესაც მოვიშორებთ და სხვა აა..რამზადებსაც.. დიახ!. დიახ!

გოჩმანი.

# ხელოვნების ქრონიკა

## ლიტერატურა

### ზღაპარი ქრისტეზე

83 წლის გეორგ ბრანდესმა ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოუშვა პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო წიგნაკი „ზღაპარი ქრისტეზე". ამ წიგნაკში გ. ბრანდესი მისთვის ჩვეულებრივი კრიტიკულის ხელოვნებით ჯამს უკეთებს ყველაფერს, რაც კი ჩვენ ვიცით ქრისტეს ისტორიულ[illegible] არსებობის შესახებ, ანალიზს უკეთებს სახარების ავტორების ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასეთი ქრისტე არც არსებობდა და არც შეიძლება ყოფილიყო, მეცნიერება კი რაიმე დამამტკიცებელ საბუთს მისი არსებობისას არ იძლევა.

### „ელლადა"

თითქმის ამავე დროს გამოვიდა გ. ბრანდესის მეორე წიგნი „ელლადა".

წიგნი შესდგება ორი მისი დიდი მოხსენებიდან „ჰომიროსი" და „ოდისეა" (ეს მოხსენებები წაკითხულ იქნა კოპენგაგენის უნივერსიტეტში ბრანდესის მუშაობის 50 წლის შესრულების გამო გამართულ ზეიმზე), წერილიდან „ქსენოფონტე" და ორი წერილიდან—„ელლადა" და „საბერძნეთის აღსასრული", რომლებიც სკანდინავიის გაზეთებში დაიბეჭდა.

## თეატრი

### „ჰამლეტი" თანამედროვე კოსტიუმებში

ნიუ-იორკში „ჰამლეტი" დასდგეს თანამედროვე კოსტიუმებში. ამსტერდამში (ჰოლანდია) წაბაძეს ინგლისის მაგალითს. თეატრის დირექტორი მსახიობი ედუარდ ვერკადე თამაშობდა ჰამლეტს. ჰამლეტის ძმის ლანდი გამოჩნდა გენერალის ტანსაცმელში ლაერტი კი—შოფერის ტანისამოსში გამოწყობილი, რევოლვერით მივარდება ჰამლეტს. ჰოლანდიის პრესამ მიწასთან გაასწორა რეჟისორი.

### მოჭადრაკე ლასკერი—დრამატურგი

მსოფლიოში ცნობილმა მოჭადრაკე ემმანუილ ლასკერმა, რომელიც 30 წელიწადია თითქო ჭადრაკის თამაშის მეტს არაფერს აკეთებდა, თავის ძმასთან ბერტოლდთან ერთად დასწერა 5 აქტიანი პიესა „ადამიანის ისტორია" ამ დრამას, რომელსაც ფილოსოფიური ხასიათი აქვს, ლასკერი 7 წლის განმავლობაში სწერდა თავისუფალ დროს.

### ალექსანდრე მოისი

ცნობილი ტრაღიკოსი ალექსანდრ მოისი დაბრუნდა ბერლინში და გამოვიდა ცნობილი იტალიელი მწერალის ლუიჯი პირანდელოს პიესაში „ჰენრიხ მეოთხე".

### მაქს რეინჰარტის ახალი დადგმა

მაქს რეინჰარტი დგამს მოლინარის ახალ პიესას „რივიერა"-ს, რომელიც ერთსა და იმავე დროს წავა ვენაში, ბერლინში და ბუდაპეშტში.

### კერენსკი—სცენაზე

თებერვლის რევოლიუციის მასალების ორი წლის შესწავლის შემდეგ. დამთავრებულია სცენაზე დასადგმლათ პიესა „პირველი რევოლიუციის საყვარელი" (ა. კერენსკი) პიესების ავტორები არიან—ვ. კაროლევიჩ და ი. პ. ივანიცკი (ლენინგრადი). კერენსკის გარდა პიესაში გამოყვანილი არიან: მილიუკოვი, როძიანკო, შულგინი, შჩეგლოვიტოვი, მიხ რომანოვი, გენ. კორნილოვი, კრიმოვი, კრასნოვი, ო. ლ. კერესკისა. კერენსკის როლს ალბათ მსახიობი მ. ა. ჩეხოვი შეასრულებს.

### პროლეტარული თეატრი პარიზში

საფრანგეთის კომპარტიამ მოაწყო პარიზში მუშათა თეატრი. ამ თეატრის მსახიობების უმრავლესობა მუშები და მუშა-ქალებია. დასი ხშირად მართავს წარმოდგენებს მუშათა უბნებში. მუშათა თეატრის უკანასკნელი დადგმა „როცა ლატაკები მოისურვებენ" დიდის სიმპატიებით სარგებლობს მუშებში. თეატრი შეუდგა ახალი დასის შედგენას.

## მ უ ს ი კ ა

### რიხარდ სტრაუსის ახალი ოპერა

კომპოზიტორი რიხარდ სტრაუსი მუშაობს ახალ ოპერაზე „ელენე ეგვიპტიდან" (ჰუგო ჰოფმანსტალის სიტყვები). ოპერა დამთავრებული იქნება მიმდინარე წლის დამლევს. ოპერის პირველ აქტს კომპოზიტორი 18 თვის განმავლობაში სწერდა.

### ჯორდანო ახალი ოპერა

პოპულიარული ოპერის „ანდრე ბენიე"-ს ავტორმა კომპოზიტორმა უმბერტი ჯორდანომ დასწერა ახალი ოპერა „მეფე" მოქმედება სწარმოებს მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთში. მიმდინარე წელს ეს ოპერა დაიდგმება თეატრში „ლასკალა" მილანში (იტალია).

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია.

# „დროშის" ფოტო--ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ახალი კინო-სურათი „ვინ არის დამნაშავე“**

სურათის მომქმედნი პირნი: ნატა ვაჩნაძე, კ. მიქაბერიძე, ე. ჩერქეზიშვილი. სურათის ერთ-ერთი სცენა: ბესია და ფატი ბრუნდებიან ყანიდან.

281/200

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი „დროშა“ ურიგდება უფასოდ

# „დროშა“

„კომუნისტი“-ს ყველა ხელისმომწერლებს


გამოვიდა და იყიდება

# სანდრო შანშიაშვილის

რჩეულ თხუზულებათა — პირველი ტომი

## ლირიკა, პოემები

მეორე ტომი გამოვა ა/წ. იანვარში

მოთავსებულია: 1. მკვლელი ნილაბში, 2. მედია და მშვენიერი ელენე, 3. ძემეტიკა, 4. იასონ და რენო 5. ქალი გრძნეული, 6. ორფეუს და ევრიდიკე.

მისამართი: ერთად-ერთი საწყობი, თბილისი, ლენინის ქუჩა (ვერის დაღმართი) № 6 წიგნის მაღაზია „განათლება“ სილიბისტრო თავართქილაძესთან.

—ნ.—


მთავლ. № 124 ტირ. № 20.000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. ა8.